პრიორიტეტული მიმართულებების ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში



1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5,827.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6,060.3 ათასი ლარი) 96.2 პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა

ხარჯები: სამტრედიის საკრებულო - 1,128.2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 4,615.1 ათასი ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურებაზე საკასო ხარჯმა შეადგინა 77.7 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 70.1 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 7.6 ათასი ლარი. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 6.5 ათასი ლარი.

2. ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.


ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 16,438.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 81.1%-ია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	20,261.3	16,438.8	81.1
02 01	გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება	12,709.5	10,550.1	83.0
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,467.2	3,821.1	85.5
02 02 01	ბინათმშენებლობა	3,146.3	2,529.0	80.4
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	38.5	28.4	73.8
02 02 03	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,282.4	1,263.7	98.5
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,170.7	1,493.7	68.8
02 03 01	საკადასტრო რუკების მომზადება და საპროექტო-სახაჯთადრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	10.5	10.2	97.1
02 03 03	სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	2,160.2	1,483.5	68.7
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	801.3	465.4	58.1
02 05	სოფლის მეურნეობის განვითარება	112.6	108.5	96.4

(თანხა ათას ლარებში)

ინფრასტრუქტურის განვითარება პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით



ა) გზების, ხიდების, ბოგიერების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 12,709.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,550.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 83.0%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მაგრამ გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი ითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ტროტუარები საჭიროებს განახლებას, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ქალაქის იერსახეს და ქვეითთა გადაადგილების კომფორტულ გარემოს. კორპუსების ეზოები საკმაოდ არის დაშორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს ტრანსპორტით თუ ფეხით მოუწესრიგებელი ტერიტორიის (ეზოების) გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა მრავალსათუღიანი ბინების ეზოებიდან ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელად უწევთ ქვიშა-ხრემოვანი გზებით სარგებლობა, გზის საფარის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე თითქმის ყველა სოფლის შიდა გზების უმეტესობა ამ ეტაპზე საჭიროებს მოხრემვითი სამუშაოების ჩატარებას. ზამთრის სეზონის პერიოდში ასევე აუცილებელი ხდება მაღალმთიანი სოფლების შიდა საავტომობილო გზებზე და ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე თოვლის საფარის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც გამოიყენება მძიმე ტექნიკა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლების სხვადასხვა უბნებში

სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალექილი არხები, საჭიროა ნიაღვარმიმღები ობიექტების რეაბილიტაცია ქუჩებზე, რომლებზეც დაგეგმილია გზის კაპიტალური სამუშაოები, მოსაწყობია ახალი ბოგირები, ცხაურები და ხიდ-ბოგირები.

პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის შექმნილი და მოწესრიგებული თანაბრად ხელმისაწვდომი, სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული სანიაღვრე არხები და სახიდე გადასასვლელები. ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მაგრამ გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი ითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. კორპუსების ეზოები საკმაოდ არის დაშორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს ტრანსპორტით თუ ფეხით მოუწესრიგებელი ტერიტორიის (ეზოების) გავლით უწევთ გადაადგილება. განხორციელდა მრავალსათუღიანი ბინების ეზოებიდან ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელად უწევთ ქვიშა-ხრეშოვანი გზებით სარგებლობა, გზის საფარის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე თითქმის ყველა სოფლის შიდა გზების უმეტესობას ჩაუტარდა მოხრეშვითი სამუშაოები. ზამთრის სეზონის პერიოდში ასევე აუცილებელი ხდება მაღალმთიანი სოფლების შიდა საავტომობილო გზებზე და ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე თოვლის საფარის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც გამოიყენება მძიმე ტექნიკა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლების სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალექილი არხები, ხორციელდება ნიაღვარმიმღები ობიექტების რეაბილიტაცია ქუჩებზე, რომლებზეც დაგეგმილია გზის კაპიტალური სამუშაოები, მოწყობა ახალი ბოგირები, ცხაურები და ხიდ-ბოგირები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერები.

სანგარიშო პერიოდში დაიგო – 36680 გრ/მ. ასფალტის და 10075 გრ.მ ბეტონის საფარი. საანგარიშო პერიოდში შეკეთდა გზების (მიმდინარე და ორმოული), 3800 გრ/მ - ბეტონის გზა; მოხრეშვა – 6000 გრ/მ. გზის საფარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური მოწყობა შემდეგ ლოკაციაზე:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების, საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოების შესყიდვა

- სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალსოფელში მდინარე რიონზე არსებულ ბორანის მარჯვენა სანაპიროს მოწყობის სამუშაოების მე-2 ეტაპის სამუშაოები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების, ორმოული შეკეთების სამუშაოების შესყიდვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ე.წ სანავარდოს საყანე ფართობებში რკინა-ბეტონის მილ-ხიდების მოწყობისა და საწრეტი არხის ამოწმენდის სამუშაოების შესყიდვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ვასაძის ქუჩაზე ვასაძის პირველი ჩიხიდან სამხრეთის მიმართულებით არხის კაპიტალური მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ღანიშში მოცვისა და ტყემლის ბაღთან მისასვლელი გზის მოხრეშვის სამუშაოების შესყიდვა

ქალაქ სამტრედიის აკაკი წერეთლის ქუჩაზე არსებული მინიფებურთის მოედნის მიმდებარედ ავტოსადგომის მოწყობის და რუსთაველის ქუჩა N23 ბინის ეზოში ა/ბ საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

ქ. სამტრედიის კაკაბაძის ქუჩის #14 ბინის ეზოს ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი-ჯიხაში N42-ე ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ კორმაღალში კვირიკეს უბანში მოხრეშვის სამუშაოების შესყიდვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ლოკაციაზე სიჩქარის შემზღუდავი (ბორცვები) ბარიერების მოწყობისა და ქვეითთა გადასასვლელების დახაზვის სამუშაოების შესყიდვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ ჯიხაში მე-17 ქუჩაზე მიწების რეაბილიტაციისა და არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

ქალაქ სამტრედიის კაკაბაძის ქუჩიდან მშვიდობის ქუჩის მიმართულებით (ე.წ. ნახალოვკის დასახლებაში) სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გომმუხაყრუაში მე-5 და მე-6 ქუჩების მიმდებარედ განვითარებული მეწყრული პროცესების აღმოფხვრისთვის სამუშაოსა და სამუშაოსთვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის შესყიდვისთვის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევების და ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის მომსახურების შესყიდვა თანმდევი ექსპერტიზებით

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის, კერძოდ: ტექნიკური შეკეთებისა და უწყვეტი კვების სისტემის მომსახურების მრავალწლიანი შესყიდვა პრეისკურანტით

ქალაქ სამტრედიის, გომის და ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულის სხვადასხვა ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების, ორმული შეკეთების სამუშაოების შესყიდვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჭირო ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მრავალწლიანი შესყიდვა თანმდევი აღჭურვილობითა და მომსახურებით (ანგარიშსწორება 24 თვის განმავლობაში)

დასრულდა 2025 წლის ერთწლიანი და 2024 წლიდან 2025 წელში გარდამავალი მრავალწლიანი პროექტები, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულება (ცვლილება); 2024 წლის 29 ივლისის N1060 განკარგულება; 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულება)) ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, კერძოდ:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტში ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ბეტონის გზიდან ე.წ. „აბანოს უბნიდან“ ეკლესიამდე გზის რეაბილიტაცია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ღანიში „გვილაკების უბანში“ ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები (I მონაკვეთი)

სოფ. დაბლა გომიდან კეთილური-ცივწყალას დამაკავშირებელ გზის მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობა "ღანიის ადმინისტრაციულ ერთეულში წმ.

გიორგის ტაძრის გვერდით ვახტანგ ბალაშაძის ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება"

სოფ. დიდი ჯიხაში N28 ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა

სოფ. დიდი ჯიხაში N23 ქუჩის დარჩენილი ნაწილის მოასფალტება

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ტოლების ცენტრალური გზიდან ტელეფისის მიმართულებით ბეტონის საფარის მოწყობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე ნიგორზღვაში გზის გასაყარიდან ეკლესიამდე ა/ბეტონის საფარის მოწყობა

გორმაღალის ადმ. ერთეულში ბეტონის საფარის დაგება

ტოლების ადმ. ერთეულის სოფ. ბუნდრაში გურიელიძეების უბნის მიმართულებით ა/ბეტონის საფარის მოწყობა

სოფ. ქვემო ნოღაში ე.წ. ლორია-ბოცვაძეების უბანში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხიზლარის N14 ქუჩაზე და პაპავეებისა და მიაკოვსკის ქუჩების დამაკავშირებელ გზაზე გზაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა
გომის ადმ. ერთეულში დაბლა გომი-ცივწყალას გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა
ტოლების ადმ. ერთეულის სოფ. ბულნარაში ე.წ. ბაძგარის უბანში ა/ბეტონის საფარის მოწყობა
ტოლების ადმ. ერთეულის სოფ. ბულნარაში, ხუჭუებისა და მჟავიების უბანში ა/ბეტონის საფარის მოწყობა
სოფ. დიდი ჯიხაიშში N26 ქუჩის მოასფალტება
გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ზედა ეწერში N5 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა
სოფ. ჭაგანში ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით მდებარე ჩიხებში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
სოფ. ნინუაკუთხეში N1 გზაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა
სოფ. ნინუაკუთხეში N13 ქუჩაზე ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა
სოფ. დიდი ჯიხაიშში N15; N25; N29 ქუჩებზე და სოფ. იანეთში N6; N11; N12 ქუჩებზე ასფალტ ბეტონის აფარის მოწყობა
გომის ადმ. ერთეულის სოფ. კორმაღალში ე.წ. კოკოშელას უბანში და სოფ. გომში მე-2 და მე-7 ქუჩაზე, სოფ. მთისძირში N10 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა
გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. დაბლა გომში N6 ქუჩაზე, სოფ. მთისძირში N9 ქუჩაზე და სოფ. გომნატეხების N7 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა
სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. საჯავახოში N14 ქუჩის I ჩიხში; ე.წ. ორპირის უბანში და „საკირეს უბნის“ I ჩიხში, ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები
სოფ. ქვაყუდეში ბერძნისწყლის დასახლებაში ტორლუას უბანში და სოფ.ქვაყუდეში მთავარი გზიდან საწვიმის უბნისკენ მისავლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
სოფ. დანირში ე.წ. მეგრელიშვილებისა და ნოე მანჯგალაძის უბანში ა/ბეტონის საფარის მოწყობა
სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხიზლარის N7 ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა
სოფ. საჯავახოს N1 ქუჩის მე-8 ჩიხში ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. საჯავახოში მე-13 ქუჩაზე და I ჩიხში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა
სოფ. ნიგორზღვაში ე.წ. „ნაკალოები“-ს უბანში გზის მოასფალტება
სოფ. ქვემო ნოლაში ე.წ. მერეს უბანში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა, სოფ. დაფნარში მე-3 ქუჩაზე და მე-4 ქუჩის I ჩიხში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა

ასევე, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N185 განკარგულება; 2025 წლის 10 ივლისის N1107 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში:

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ნაბაკვეის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხუნჯულაურში ახალი საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა
ეწრის დამშრობი არხის გაწმენდითი სამუშაოები და წისქვილთან მილხიდის მოწყობა (400გრძ.მ)
მდ. ლოლობას და მისი შენაკადების გაწმენდითი სამუშაოები (5800გრძ.მ)
მდ. ოჭოფას კალაპოტის გაწმენდა
მდ. ჭერეხას კალაპოტის გაწმენდა
"აღმშენებლის ქუჩა N327ა ბლუაშვილებთან მდ. ჭურთავაზე ნაპირსამაგრი ბეტონის კედლის მოწყობა"
"გურამიშვილისა და გოგომის ქუჩების კვეთაზე მდ. ჭურთავაზე ნაპირსამაგრის ბეტონის კედლის მოწყობა"
- ჭაგანში მდ. ჭურთავაზე არველაძეების ნაკვეთთან გაბიონის კედლების მოწყობა
ჭურთავას და ფერჩხულას გაწმენდა სასაფლაოსთან ბეტონის კედლის მოწყობა
სოფ. ოფეთში გზის I მონაკვეთი იობაძეების უბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენა
სოფ. ოფეთში გზის II მონაკვეთი გაბედავების უბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენა
სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე (ბორანის მიმდებარედ) საპირსამაგრის მოწყობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. გორმალაში „ქვაცუდის“ უბანში მოქ. ნინო ლებანიძის საცხოვრებელი სახლის წინ რკ. ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობისა და არსებული ბეტონის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

ასევე, ანაზღაურდა გასული და 2025 წლების დაგეგმილი და შესასრულებელი პროექტების სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2.5%". შესრულებული სამუშაოებით უზრუნველყოფილია მოსახლეობის უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება. აღნიშნული პროექტები შესაძლებელს გახდის რომ, მოსახლეობა გადაადგილდებოდეს შეუფერხებლად, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით. არ შეექმნას პრობლემა უამინდობის პერიოდში გადაადგილებაზე, ხოლო სოფლები ერთმანეთს და ადმინისტრაციულ ცენტრს დაუკავშირდნენ რეაბილიტირებული გზებით.

მოსახლეობისათვის შეიქმნა და მოწესრიგდა თანაბრად ხელმისაწვდომი, სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, დამცავი გაბიონები, საყრდენი კედლები და სახიდე გადასასვლელები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 47 კილომეტრი გზის დაგება, შეკეთებული გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 2024 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 5000 პირდაპირი და 11 000 არაპირდაპირი ბენეფიციარი. პროექტების ნაწილი გარდამავალია და მოსახლეობა ქვეპროგრამის განხორციელების ეფექტს მიიღებს 2025 წელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 50 კმ-მდე გზის დაგება, შეკეთებული გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 2025 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 5000 პირდაპირი და 11 000 არაპირდაპირი ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 9,8 კილომეტრ გზას და რეაბილიტირდა 46755 კმ-მდე გზა (ასფალტ ბეტონი; ბეტონი). მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა: 2025 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 4500 პირდაპირი და 10000 არაპირდაპირი ბენეფიციარი.

ბ) ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 3,146.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,529.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 80.4%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმშენებლობის ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმშენებლობის საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ჭერსა და მაღალ სართულებზე განთავსებულ ბინებს. არსებული მრავალსართულიანი კორპუსების ფასადები სიძველის გამო გამოსულია მწყობრიდან, საიდანაც ხშირ შემთხვევაში ცვივა ბათქაში და იქმნება საფრთხე. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ბინათმშენებლობის ამხანაგობების საკუთარი და საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით მუნიციპალიტეტი აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის.

პროგრამის მიზანია ბინათმშენებლობის ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, ბინათმშენებლობის ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი სამუშაოების დაფინანსების თხოვნის საფუძველზე მოზიდვით გაუმჯობესებული, თანაბარხელმისაწვდომი საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ამხანაგობების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ობიექტების საერთო

ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. ყველა მობინადრისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

მიღწეული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო გაუმჯობესდა. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების პრინციპით საცხოვრებელი კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვა ღონისძიებები. ბიუჯეტით გათვალისწინებულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამით ამხანაგობა აწარმოებს ბინათმესაკუთრეთა აღრიცხვის ჟურნალს ამხანაგობა წერილობით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განმცხადებელი ამხანაგობის შესახებ და პრობლემის არსს, რომლის გადაჭრისკენაც არის მიმართული ამხანაგობის განცხადება.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები შემდეგ ლოკაციაზე:

- ქ. სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა N148 ბინის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და თამარ მეფის ქ. N26- ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის აღდგენის სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა
- ქ. სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე N3 და N4 ბინების, რუსთაველის ქუჩა N38 (სახურავით) და კრავეიშვილის ქუჩა N2 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა
- ქ. სამტრედიაში ნინოშვილის ქუჩა N 53ა-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის გადახურვის სამუშაოების შესყიდვა
- ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. N98-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
- ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში დაზიანებული საკანალიზაციო ჭების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
- ქ. სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩა N 1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7-ე სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
- ქ. სამტრედიაში რუსთაველის ქუჩა N 16-ში არსებული მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლზე სახურავის წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები".
- ქ. სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე N23, N25 N27 და თამარ მეფის N38-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს განხორციელდა 8 ბინის ფასადის, 15 სახურავის რეაბილიტაცია,

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს განხორციელდება 9 ბინის ფასადის, 7 სახურავის რეაბილიტაცია, კანალიზაცია 1; სადარბაზოები 1.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანამონაწილეობით (5.0 %) ურბანული ფურნიტურით მოწყობილი ეზოების რაოდენობა და განახლებული ინფრასტრუქტურა, 2025 წელს მრავალსართულიანი კორპუსებში მოწესრიგებული სახურავების რაოდენობაა 7 ობიექტი. მრავალსართულიანი კორპუსებში მოწესრიგებული ფასადების რაოდენობაა 7 ობიექტი, კანალიზაცია 1; სადარბაზოები 1.

გ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 38.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 28.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 73.8%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭიროა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი სასმელი წყლის სოკოების, შადრევნების წყლის ხარჯების დაფინანსება. ასევე, განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია; მოწყობა-მომსახურება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (მაღალმთიან ზონაში) არსებული წყლის სისტემები მოითხოვს რეაბილიტაციას და ასევე უნდა მოეწყოს ახლი სისტემები. სასმელი წყლის რეზერვუარები გამოსულია მწყობრიდან, საჭიროებს აღდგენას. **პროგრამის მიზანია** მოსახლეობისთვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება და დაზიანების სწრაფი აღმოფხვრა. რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემა უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უწყვეტ წყლის მიწოდებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა.

მიღწეული შუალედური შედეგები: სამტრედიის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტითა და პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნა მასალები რის შედეგადაც ნაწილობრივ მოგვარდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში სასმელი წყლის რეგულარული მიწოდება; - მოსახლეობას შეუფერხებლად იღებს სასმელ წყალს; წყლის სისტემების ექსპლოატაცია არის უწყვეტ რეჟიმში, გაიზარდა სასმელი წყლის გაუმჯობესებული ხარისხი, სასმელ წყალზე შეუფერხებელი წვდომა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 წყლის სათავე ნაგებობას; სასმელი წყლით უზრუნველყოფილია მოსახლეობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 80%, სასმელი წყლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ ნორმებს, განახლებული წყალსადენების ქსელით (მ.შ. სათავე ნაგებობები) ისარგებლებს დაახლოებით 1200 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: სასმელი წყლით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 95%, სასმელი წყლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ ნორმებს, 2025 წელს პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება 5 წყლის სათავე ნაგებობას, განახლება 3 კმ-მდე წყალსადენების ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი: - სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 95%, სასმელი წყლის ხარისხის ნორმები დაცულია. 2025 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 წყლის სათავე ნაგებობას. განახლდა 3 კმ/მე წყალსადენების ქსელი ისარგებლებს დაახლოებით 1400 ბენეფიციარი

დ) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 1,282.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,263.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენური ფაქტორების შემცირება. დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, ასევე სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებლად მოძრაობისათვის აუცილებელია ქალაქის განათება, არსებული ქსელის რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა. ახალი საანათების შეძენა მონტაჟი.

პროგრამის მიზანია მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება.

მიღწეული შუალედური შედეგები: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას, ასევე

განხორციელდა გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ავტომატის ამწე კალათის შექმნა, ქ. სამტრედიამი ცენტრალური მოედნზე და ფასადებზე დეკორატიული განათების მოწყობა გარე განათების ქსელზე მრიცხველების მიერთების საფასურის ანაზღაურება ასევე. ქუჩების განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯები მოიცავს შემდეგი სახის ძირითად მომსახურებას: კონტროლს ელექტრო ენერჯის ხარჯვაზე 1) უზნებზე ელექტროენერჯის ხარჯვის ჩვენების მონაცემთა მონიტორინგი და შესაბამისად ელექტროენერჯის ხარჯვის დადასტურება, დახარჯული ელექტროენერჯის ეფექტურობისა და ხარჯვის კონტროლი. 2) დეკადური ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი სისტემიდან ელექტროენერჯის დატაცებას და ყოველი ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამსახურებთან ერთად მისი ლიკვიდაცია.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები შემდეგ ლოკაციაზე:

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ტოლების ადმინისტრაციულ ერთეულის სოფ. ზემო ნოღაში ე.წ „ბეგეს უბანში“ გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

ქ. სამტრედიამი, გენო გეგმიძის, ლაშა თევზაძის, მერაბ კოსტავას, მიხეილ ჯავახიშვილის და შოთა რუსთაველის ქუჩებზე გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს მდგრადი გარე განათების სისტემით უზრუნველყოფილი მოსახლეობა 100%, გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებით კმაყოფილი მოსახლეობა 100%. 2024 წელს გახორციელდა 2200 ცალი დიოდური ნათურის ამოცვლა შეკეთება და გამოცვლა, განხორციელდა 11000გრმ/მ ელექტრო სადენის ამოცვლა, 140 ცალი ამომრთველის 60 ცალის პროექტორის 100 ცალის ელექტრო ვაზნის 120 ელექტრო გამშვების 300 ელექტრო ავტომატის ამოცვლა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია გაეწევა გარე განათების 1200 გრმ.მ საერთო სიგრძეს. გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს გარე განათების სისტემით უზრუნველყოფილი მოსახლეობა 100%, გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებით კმაყოფილი მოსახლეობა 100%. შეკეთებულია (გამოცვლილი) 2000 სანათი წერტილები; გახორციელდა 2000 ცალი დიოდური ნათურის ამოცვლა შეკეთება და გამოცვლა, განხორციელდა ელექტრო სადენის 10000 გრ/მ ამოცვლა, ელ. ამომრთველის 300 ცალის პროექტორის 120 ცალის ელექტრო ვაზნის 20 ელექტრო გამშვების 140 ელექტრო ავტომატის 300 ამოცვლა.

ე) საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

(პროგრამული კოდი 02 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 10.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.1%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების დამზადება, აგრეთვე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესდება მუნიციპალური ქონების დაცვის, განკარგვისა და მართვის ხარისხი ასევე მოხდება ქონებების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია.

მიღწეული შუალედური შედეგები:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა. მომზადდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს განხორციელდა 110 შიდა აზომვითი ნახაზის მომზადება.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს დაგეგმილი იყო 140 შიდა აზომვითი ნახაზის მომზადება.

მიღწეული მაჩვენებელი: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 80 შიდა აზომვითი და 43 საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის დამზადება.

ვ) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 2,160.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,483.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 68.7%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების საჭიროებს რეაბილიტაციას, მოსაწყობია ინფრასტრუქტურა, სკამები, გაზონები. ზოგი მათგანი საჭიროებს შეღობვით სამუშაოებს და განათების მოწყობას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იპოდრომის ტერიტორია საჭიროებს კეთილმოწყობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერები და გაზონები მოითხოვს გამწვანების სამუშაოების ჩატარებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელეები სიძველის გამო ამორტიზირებულია და საჭიროებს განახლებას. აღნიშნული პროექტით შეიქმნება ახალი დადასვენებელი კერები და გაუმჯობესდება იერსახე.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში რეაბილიტირებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცეები.

მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში, ადმინისტრაციული და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია/მშენებლობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მოეწყო ინფრასტრუქტურა, სკამები, გაზონები. ზოგი მათგანი ჩაუტარდა შეღობვითი სამუშაოები და მოეწყო განათები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერები და გაზონები განხორციელდა გამწვანების სამუშაოები. ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტებით შეიქმნა ახალი დადასვენებელი კერები და გაუმჯობესდა იერსახე.

თამარ მეფის და რუსთაველის ქუჩებს შორის (პოლიციის წინმდებარე) სკვერის სრული რეაბილიტაცია;

ქ. სამტრედიის, ფოთის ქუჩაზე სკვერის და წერეთლის ქუჩის N1 ბინის სამხრეთ მხარეს არსებული სკვერის რეაბილიტაცია;

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე ატრაქციონების, ფანჯატურებისა და ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;

ქალაქ სამტრედიის, შოთა რუსთაველის ქუჩა N28-ის მიმდებარედ (ყოფილი რკინიგზის განყოფილების წინ) ახალი მოსაცდელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს მოეწყო და რეაბილიტირდა 8 სკვერი და პარკი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს დაგეგმილია 4 სკვერის რეაბილიტაცია; 4 მოსაცდელისა და 21 ტრენაჟორის რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს მოწყობილი-რეაბილიტირებული სკვერების და პარკების რაოდენობაა 3, მოეწყო 2 მოსაცდელი, სხვახდასხვა ლოკაციაზე განთავსდა ტრენაჟორები.

განმარტება: რიგ შემთხვევებში შემსრულებელი კომპანიის მიერ სამუშაოები მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკის დარღვევით, რაზეც ერიცხებათ შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. ბ) ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი დასრულებულია, მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცედურა (მომწოდებლებს წარმოსადგენი აქვთ ინსპექტირების ანგარიშები, მოსამზადებელია/მზადდება მიღება-ჩაბარების აქტები) დაფინანსებისთვის.

გ) ასევე, სხვაობას იწვევს ზოგიერთი პროექტის დასრულებისას, საბოლოო ანგარიშსწორების დროს დარჩენილი ეკონომია. (გაუთვალისწინებელი ხარჯები და დაკორექტირებული მოცულობები)

ზ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 02 04) პროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 801.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 465.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 58.1%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდება სოფლად მნიშვნელოვანი პროექტები სოფლის კრებების/კონსულტაციების ფონზე, სადაც მოსახლეობამ თავის სოფელში შემდეგი პროექტების განხორციელებას უნდა დაუჭიროს მხარი, იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეგფონდის) ქვეკომპონენტია, რომლის ფარგლებშიც, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საკეთილდღეოდ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება, მოსახლეობა დასახლებების მიხედვით ხმათა უმრავლესობით განსაზღვრავს.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოფლად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული პროექტები და ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის სოფლად დამკვიდრება.

მიღწეული შუალედური შედეგები: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა სოფლად მნიშვნელოვანი პროექტები სოფლის კრებების/კონსულტაციების ფონზე, სადაც მოსახლეობამ თავის სოფელში შემდეგი პროექტების განხორციელებას დაუჭირა მხარი, იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეგფონდის) ქვეკომპონენტია, რომლის ფარგლებშიც, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საკეთილდღეოდ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რომელიც დასახლებების მიხედვით ხმათა უმრავლესობით განისაზღვრა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა სულ განხორციელდა 90 პროექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობის არსებულის შენარჩუნება და გაზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა სულ განხორციელდა 96 პროექტი. ყველა პროექტი დასრულებულია.

განმარტება: რიგ შემთხვევებში შემსრულებელი კომპანიის მიერ სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის დარღვევით, რაზეც ერიცხებათ შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. ბ) ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი დასრულებულია, მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცედურა (მომწოდებლებს წარმოსადგენი აქვთ ინსპექტირების ანგარიშები, მოსამზადებელია/მზადდება მიღება-ჩაბარების აქტები) დაფინანსებისთვის.

გ) ასევე, სხვაობას იწვევს ზოგიერთი პროექტის დასრულებისას, საბოლოო ანგარიშსწორების დროს დარჩენილი ეკონომია. (გაუთვალისწინებელი ხარჯები და დაკორექტირებული მოცულობები)

თ) სოფლის მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი: ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 112.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 108.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.4%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურეობის ჩატარება და საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრას. ასევე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეობამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციას, რომელიც უზრუნველყოფს სახნავი ფართობების აგროვადებში

დამუშავებასა და მოსავლის დროულ გატანას; სახნავი ფართობების შემოღობვას, რაც უზრუნველყოფს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისაგან სავარგულების დაცვას. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიმდებარე არხების გაწმენდა რეაბილიტაციას, რაც უზრუნველყოფს სახნავი ფართობების ჭარბი ტენისაგან და დაჭაობიანობებისაგან თავიდან აცილებას.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესდება მუნიციპალური ქონების დაცვის, განკარგვისა და მართვის ხარისხი. მოსახლეობა მიიღებს მარტივად გადასადგილებელ ტერიტორიას საკუთარ სავარგულებამდე. უზრუნველყოფილი იქნებიან სუფთა წყლითა და დაცული იქნებიან მსხვილფეხა ცხოველებისაგან.

მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურების ჩატარება და საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრას. სოფლის მეურნეობის სავარგულებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას, სახნავი ფართობების შემოღობვას, სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობასა და სავარგულებთან მიმდებარე არხების გაწმენდას. 2025 წლის საანგარიში პერიოდში სამტრედიის მუნიციპალიტეტში შესრულდა სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვის და საწრეთი არხების ამოწმენდის სამუშაოების შესყიდვა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს უნდა მოწესრიგებულიყო დაახლოებით 4 გზა, რომლის საერთო სიგრძეც 2,5 კმ იქნებოდა.

მიღწეული მაჩვენებელი: მოწესრიგდა 3 გზა , რომლის ჯამური სიგრძეც 2 კმ-ია.


3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3,799.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.2 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 2,667.6 ათასი ლარი მოხმარდა ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანებას, 934.2 ათასი ლარის ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას, დასუფთავებას მოხმარდა 139.8 ათასი ლარი, ხოლო კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციას - 57.8 ათასი ლარი.

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,867.1	3,799.4	98.2
03 01	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	2,725.4	2,667.6	97.9
03 02	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	943.7	934.2	99.0
03 03	დასუფთავება	140.0	139.8	99.9
03 04	კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	58.0	57.8	99.7

დასუფთავების პრიორიტეტი პროგრამების მიხედვით
(ათას ათას ლარებში)



ა) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 2,725.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,667.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,9 %-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა-დასუფთავებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და მის გატანას, აგრეთვე, სანიაღვრე და საწრეტი არხების დანალექებისაგან გაწმენდა-გატანას, გარე განათების ქსელების მომსახურებას. ქვეპროგრამის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა, ესთეტიკურად ლამაზი ქალაქი, განათებული მუნიციპალიტეტი, ქალაქის გაწმენდილი არხები ბუნებრივი ნალექისგან.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა გაუმჯობესდება ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. გაიზრდება მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ტერიტორია. ქვეპროგრამის შედეგი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის და გარემოს დაცვის გაუმჯობესება. უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ღამის განათების ქსელი. უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა დანალექისაგან და ამოღებული დანალექის გატანა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების გამართული სერვისი - მოედნებისა და ქუჩის ტროტუარების და სავალი ნაწილის დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე, საავტომობილო ცენტრალური მაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიების ორივე მხარეს დასუფთავება გაწმენდა და მოგროვილი ნარჩენების სპეც ავტომანქანაზე დატვირთვა და ნაგავსაყრელზე გატანა, მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება და სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციების საწარმოების კულტურულ აღმზრდელობითი და სხვა დაწესებულებების კვების და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ღამის განათების ქსელის მომსახურება და დაზიანებული ლამპიონების და დაზიანებული უბნების აღდგენა და შეცვლა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა დანალექისაგან და ამოღებული დანალექის გატანა რითაც უზრუნველყოფილია ნალექის დროს სანიაღვრე არხების გამტარუნარიანობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს არსებული მონაცემებით მუნიციპალიტეტი ტერიტორიიდან ყოველდღიური გადიოდა საშუალოდ 91,69 მეტ/ კუბი ნარჩენი, წელიწადში ხორციელდებოდა 650 სანგვე ყუთის დაცლა და ნაგავსაყრელზე გატანა ასევე ცენტრალური მაგისტრალური გზის კიდეების დასუფთავება, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა 45 ცალ რკინის და 37 ცალ პლასტმისის დაზიანებულ სანაგვე კონტეინერს. 2024 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული იქნა დამის განათების ქსელისა და ამ ქსელზე დამონტაჟებული 14 800 განათების წერტილის მომსახურება. 2024 წელს განხორციელებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 27808 მეტრი სანიაღვრე არხების გაწმენდა და გატანილი იქნა დაახლოებით 892 კბ.მ დანალექი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საშუალოდ ყოველდღიურად გავა 96,37 მეტრ კუბი ნარჩენი, ყოველდღიურად განხორციელდება 650 ცალი კონტეინერის დაცლა. ასევე, განხორციელებული იქნება დაახლოებით 15 000 დამის განათების წერტილის მომსახურება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება დაახლოებით 34340 მეტრი სანიაღვრე არხის გაწმენდა დანალექისაგან და გატანილი იქნება დაახლოებით 1580მ³ დანალექი .

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს არსებული მონაცემებით მუნიციპალიტეტი ტერიტორიიდან ყოველდღიური გავიდა საშუალოდ 96,37 მეტ/ კუბი ნარჩენი, წელიწადში განხორციელდა 650 სანგვე ყუთის დაცლა და ნაგავსაყრელზე გატანა ასევე ცენტრალური მაგისტრალური გზის კიდეების დასუფთავება, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა 128ც დაზიანებულ სანაგვე კონტეინერს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა დამის განათების ქსელისა და ამ ქსელზე დამონტაჟებული 15 000 განათების წერტილის მომსახურება. განხორციელებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 34340 მეტრი სანიაღვრე არხების გაწმენდა და გატანილი იქნა დაახლოებით 1580მ³ დანალექი.

ბ) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 943.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 934.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.0%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ძირითადი მიზანი არის ქალაქის იერსახის გაუმჯობესება არსებული სკვერების, პარკების კეთილმოწყობით, სანერგე მეურნეობის მოწყობა-ექსპლოატაციით, მწვანე ნარგავების მოვლით. აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება პარკების სანიტარული დაცვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, პანთეონების და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ვიზუალურად ესტეტიკური გრემოს შექმნა, მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებითი სამუშაოების შესრულება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პანთეონისა და სასაფლაოების კეთილმოწყობა; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

მიღწეული შუალედური შედეგები: გაერთიანების მიერ 2025 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვადასხვა ლოკაციებზე დაირგო 176 ძირი ხე-ნარგავები და 3000 ძირი ერთწლიანი ყვავილის ნერგები, კერძოდ:

- გენო გეგმიძის ქუჩაზე ტაძართან მდებარე სკვერში: წითელფოთოლა ტყემალი--15ძირი, კანადური ნაძვი--4 ძირი, მსხალი-- 8 ძირი.
- თამარ მეფის ქუჩაზე; წითელფოთოლა ტყემალი--55ძირი, სამოთხის ვაშლი--15ძირი, კანადური ნაძვი--4ძირი, მსხალი--10ძირი.
- მომავლის პარკში: კანადური ნაძვი--5ძირი, წითელფოთოლა ტყემალი--10ძირი, სამოთხის ვაშლი--10ძირი, მსხალი--5ძირი.
- საკრებულოს წინ მიმდებარე ტერიტორია; კანადური ნაძვი--1ძირი, ლიმონის კიპაროსი ბურთების ფორმის--1ცალი.

- 9სართულიანების მიმდებარედ: ლიმონის კიპაროსი ბურთების ფორმის--1ძირი, წითელფოთოლა ტყემალი--20ძირი, სამოთხის ვაშლი--5ძირი, კანადური ნაძვი--2ძირი, მსხალი--5ძირი.
- რკინიგზის სადგურის წინ მდებარე ოვალურ კლუმბაში ზაფრანა 800 ცალი, სალვია--500ცალი; პეტუნია--500ცალი;
- დედის ძეგლის წინ ოვალურ კლუმბაში დროშის ქვემოთ დაირგო ზაფრანა 100ცალი;სალვია--200ცალი; პეტუნია--500ცალი.
- ქალაქის საკრებულოს წინ დაირგო: ზაფრანა--100ცალი; სალვია--300ცალი;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაერთიანების მიერ განხორციელდა ხეებისა და ბუჩქების გაკრეჭვა, გეგმიური გადაბეღვები, გადაბელილი და დამუშავებული საშემე მერქნით მომარაგებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღები (400მ.კბ) და სოციალურად დაუცველი 35 ოჯახს. შეთეთრებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე ხე-ნარგავები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ბაღის საფარის მოთიბვა. ბარდიურების, ტროტუარების და სასაფლაო ბილიკების შეკეთება და კეთილმოწყობა; წყალსაწრეტი არხების შეკეთება. ქალაქის ტერიტორიაზე პარკებსა და სკვერებში განთავსდა, შეკეთდა და კეთილმოწყობა დასასვენებელი სკამები. მოვარსებრით შინმოუსვლელთა მემორიალების ტერიტორია. გზების დატბორვის თავიდან აცილების მიზნით ექსკავატორით გაიჭრა და გასუფთავდა სანიაღვრე არხები ქალაქისა და სოფლის ტერიტორიებზე 15კმ.-ის მანძილი. სხვადასხვა ლოკაციებზე მოწესრიგდა ბეტონის ბოგირი. ქალაქის ტერიტორიაზე, სხვადასხვა ლოკაციებზე მოეწყო გზის მკვეთავი ცხაურები. 2025 წელს აღკვეთილი იქნა სტიქიის მიერ მიყენებული ზიანი და შეფერხებები. გაერთიანების ავტომანქანა მაზი 5551 ს/ნ UO39800-ის და ამწე-მანიპულატორი ს/ნ II747IP -ის მიერ გატანილი იქნა ქალაქის სხვადასხვა ლოკაციებიდან ხის ნასხლავები, სამშენებლო ნარჩენები და არხიდან ამოღებული ნატანი ქალაქის ნაგავსაყრელზე და სხვადასხვა დაჭაობებულ ტერიტორიებზე. მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში გაერთიანების კუთვნილი ექსკავატორ-დამტვირთველით მოხდა მეწყრისაგან დაზიანებული გზების გასუფთავება მოხრეშვა და მოშანდაგება. საჯავახოსა და ტოლების ადმინისტრაციულ ერთეულში, სხვადასხვა ლოკაციებზე შეკეთდა მეწყერის მიერ დაზიანებული წყლის მილები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდითი სამუშაოები. ქალაქის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების განთავსება და შეკეთებითი სამუშაოები. გაერთიანების მეველეთა ჯგუფმა მინიმუმამდე დაიყვანა პირუტყვის მიერ ხე-ნარგავების დაზიანების შემთხვევები.

2025 წელს მოხდა ქალაქის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსებისა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა გარე ფასადის კედლების მოხატვა.

2026 წლის შესახვედრად დამზადდა და ქალაქის მთელ ტერიტორიაზე განთავსდა სხვადასხვა სახის საახალწლო დეკორაციები. დამზადდა და მოეწყო - „სამობაო სოფელი“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წლის გამწვანებაში მოთიბული და მოწესრიგებული მინი და სპორტული მოედნების ტერიტორიების ფართობმა შეადგინა ქალაქის ტერიტორიაზე - 59 528 კვ.მ, სოფლებში - 109 753 კვ.მ ფართობი. მოთიბული, შეკეთებული და მოწესრიგებული პანთეონისა და სასაფლაოების ტერიტორია შეადგენს სულ 13 ერთეულს.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების განხორციელებული პროექტებით რაოდენობით კმაყოფილი მოსახლეობა, 2025 წელს გაცელებილი და შეწამლული სასაფლაოების რაოდენობა სულ 13 ერთეული,

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წლის გამწვანებაში მოთიბული და მოწესრიგებული მინი და სპორტული მოედნების ტერიტორიების ფართობმა შეადგინა ქალაქის ტერიტორიაზე - 59 528 კვ.მ, სოფლებში - 109 753 კვ.მ ფართობი. მოთიბული, შეკეთებული და მოწესრიგებული პანთეონისა და სასაფლაოების ტერიტორია შეადგენს სულ 13 ერთეულს. შეკეთებული სასაფლაოების ღობეების სიგრძე 250 მ², შესრულებული იქნა მოხრეშვითი სამუშაოები სოფელ გამოჩინებულში, სოფელ გორმალაში და სოფელ ოფეთში სხვადასხვა ლოკაციებზე. სამუშაოების შესასრულებლად ჩვენი ორგანიზაციის მიერ დაქირავებული იქნა კამაზის მარკის ავტო მანქანები, რომელთა მიერ შეტანილმა ინერტულმა მასალამ (ხრემი) საერთო ჯამში შეადგინა - 575 კბ. გაერთიანების მიერ დაქირავებული იქნა მაღალი სიგრძის (32მ) ამწე-კალათი და ამწე-კრანი ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე /დ.ადამაშენებლის ქუჩაზე N112, გამსახურდიას ქუჩა N3 და N7 კორპუსების

მიმდებარედ, არაყიშვილის ქუჩაზე, სოფელ საჯავახოში რკინიგზის სადგურის მიმდებარედ, ფილიმონ ქორიძის ქუჩა N7 კორპუსის მიმდებარედ, რუსთაველის ქუჩა N23/ არსებული საფრთხის შემცველი მრავალწლოვანი ხეების გადასახელოად.

გ) დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 140.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 139.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: დასუფთავების ღონისძიებები - სამტრედიის მუნიციპალიტეტში უმეთვალყურედ დარჩენილი ძაღლების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურედ დარჩენილი ძაღლების გადაყვანა (სტერილიზაცია/კასტრაცია, ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია ან საჭიროების შემთხვევაში ევთანაზია და ცხოველთა სამარხში გადაყვანა) თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. განხორციელდება დასუფთავების სხვა ღონისძიებები.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმეთვალყურედ დარჩენილი ძაღლების გადაყვანა (სტერილიზაცია/კასტრაცია, ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია ან საჭიროების შემთხვევაში ევთანაზია და ცხოველთა სამარხში გადაყვანა) თავშესაფარში, რაც უზრუნველყოფს ვირუსული დაავადებების შემცირებას.

მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში. საერთო ჯამში 2025 წლის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნა 794 მიუსაფარი ცხოველი სპეციალიზირებულ თავშესაფარში, სადაც ჩაუტარდათ შესაბამისი მკურნალობა მკურნალობა (კასტრაცია/სტერილიზაცია, ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია, საჭიროების შემთხვევაში ევთანაზია და ცხოველთა სამარხში გადაყვანა). ზემოთ აღნიშნულმა გარემოებამ უზრუნველყო მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: საერთო ჯამში 2024 წლის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნა 581 მიუსაფარი ცხოველი სპეციალიზირებულ თავშესაფარში, სადაც ჩაუტარდათ შესაბამისი მკურნალობა მკურნალობა (კასტრაცია/სტერილიზაცია, ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია, საჭიროების შემთხვევაში ევთანაზია და ცხოველთა სამარხში გადაყვანა).

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს დადგეგმილი იყო არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება.


მიღწეული მაჩვენებელი: საერთო ჯამში 2025 წლის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნა 794 მიუსაფარი ცხოველი სპეციალიზირებულ თავშესაფარში, სადაც ჩაუტარდათ შესაბამისი მკურნალობა მკურნალობა (კასტრაცია/სტერილიზაცია, ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია, საჭიროების შემთხვევაში ევთანაზია და ცხოველთა სამარხში გადაყვანა).

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2025 წლის განმავლობაში დაფინანსდა 6,501.3 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (7,056.9 ათასი ლარი), 92.1 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დაფინანსებაზე მიმართული იქნა 5,011.2 ათასი ლარი, ზოგადი განათლების ხელშეწყობის დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 951.3 ათასი ლარი, ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 404.6 ათასი ლარით, ხოლო სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობას მოხმარდა 134.2 ათასი ლარი.

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	7,056.9	6,501.3	92.1
04 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანება	5,028.6	5,011.2	99.7
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1,464.3	951.3	65.0
04 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	405.7	404.6	99.7
04 04	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა	158.3	134.2	84.8



ა) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 5,028.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,011.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ ”სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება”, რომელიც აერთიანებს 23 საბავშვო და ბაგა-ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1200 ბავშვი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება სტანდარტების შესაბამისი საადმინისტრაციო პროგრამის დახვეწა. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. ასევე, განხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია. სკოლამდელი გაერთიანება მოწოდებულია და მიზნად ისახავს მოამზადოს ბავშვი ფიზიკურად, ჩამოაყალიბოს მორალურად და ინტელექტუალურად. ბაღების გაერთიანება აქტიურად მუშაობს თემატური პროექტების, სხვადასხვა სახეიმო ღონისძიებების ჩატარების ხარისხზე, ამასთან, ხელს უწყობს შშმ ბავშვთა ჩართულობას სასაწავლო პროცესში. სკოლამდელი აღზრდა ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული უნარების განვითარებას, არამედ ბავშვის პიროვნული განვითარების ხელშეწყობასაც.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი საადმინისტრაციო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება

და სასკოლო მზაობა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ჩართულია სასწავლო პროცესში. ასევე დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, გაუმჯობესებულია კვების რაციონი. 2025 წელს საბავშვო ბაღების მომსახურებით სარგებლობს 1200 ბავშვი (გოგო 743, ბიჭი 457) სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ბავშვების 85 აღსაზრდელი (სასკოლო). 2025 წელს დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება ყველა ის 85 აღსაზრდელი, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს. ნაწილობრივ რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები. რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობები და შექმნილია და ხელმისაწვდომია ადაპტირებული გარემო შშმ ბავშვთათვის.

მიღწეული შუალედური შედეგები:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (ბაღები და ბაგა ბაღები) გაერთიანება“ მოიცავს 23 ბაგა ბაღს, 1200 აღსაზრდელზე; ადგილობრივი თვითმმართველობა ზრუნავს ბავშვთა კვებასა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) ბაღის პროგრამები კომპლექტურია და მეთოდოლოგია სრულყოფილი და მოქნილი. ხოლო ბავშვები ეცნობიან გარემოს, სწავლობენ მეტყველებას აზროვნებას და ემზადებიან სასკოლოდ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს საბავშვო ბაღების მომსახურებით ისარგებლებს 1200 ბავშვმა. სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ასაკის მქონე 85 აღსაზრდელი დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს, ნაწილობრივ რეაბილიტირებულია საბავშვო ბაღები გაუმჯობესებულია სტანდარტების შესაბამისად კვების რაციონი. 2024 წლის განმავლობაში ნაწილობრივ რეაბილიტირებულია ჯიხაიში #1 და #2 ბაგა ბაღი, ქალაქის #6 და #7 ბაგა ბაღები. ნაწილობრივ შეტანილია ავეჯი და სამზარეულო ინვენტარი, ასევე 23 მმართველი 27 აღმზრდელი გადამზადებულია სკოლამდელი მზაობის სტანდარტების შესაბამისად.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს საბავშვო ბაღების მომსახურებით ისარგებლებს 1200 ბავშვი. სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ასაკის მქონე 85 აღსაზრდელი დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს, ნაწილობრივ რეაბილიტირებულია საბავშვო ბაღები გაუმჯობესებულია სტანდარტების შესაბამისად კვების რაციონი.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს საბავშვო ბაღების მომსახურებით ისარგებლებს 1200 ბავშვმა. 2025 წელს 3 ბაღმა მიიღო ავტორიზაცია ღანიის, ნაბაკევი და იანეთის ბაღებმა. რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობები და შექმნილია ადაპტირებული გარემო შშმ ბავშვთა ხელმისაწვდომობისათვის. 2025 წლის განმავლობაში მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით რეაბილიტირდა N2 ბაგა-ბაღი სტანდარტების შესაბამისად, დასასრულს უახლოვდება N4 ბაგა-ბაღის მშენებლობა.

ბ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 1,464.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 951.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 65.0%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი:

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაფინანსდა „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულებით განსაზღვრული სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები და საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა პატრონობის სისტემის განვითარება. ასევე, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის N1098 განკარგულების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.

მიღწეული მაჩვენებელი: გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების პირობები. განხორციელდა:

✓ სოფელ ღანიში საჯარო სკოლის შესასვლელი ჭიშკრიდან სკოლის შენობამდე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

- ✓ სამტრედიის მუნიციპალიტეტში მე-6 საჯარო სკოლის ფასადის და ორი ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.
- ✓ ქალაქ სამტრედიაში N7 საჯარო სკოლის პირველი და მეორე სართულის დერეფნების სარემონტო სამუშაოების შესყიდვა.
- ✓ სსიპ ქალაქ სამტრედიის N 7 საჯარო სკოლის ღობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
- ✓ სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფელ საჯავახოს საჯარო სკოლის სააქტო დარბაზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
- ✓ სამტრედიის მუნიციპალიტეტში სსიპ სოფელ დიდი ჯიხაიშის N1 საჯარო სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
- ✓ სსიპ ქალაქ სამტრედიის N2 საჯარო სკოლის ღობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
- ✓ ქ. სამტრედიაში, სსიპ N10 საჯარო სკოლის ეზოსა და დამხმარე ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა თანმდევი ექსპერტიზებით.
- ✓ სსიპ სოფ. ჭაგნის საჯარო სკოლა სველი წერტილების რეაბილიტაცია.
- ✓ სსიპ სოფ. ნიგორზღვის საჯარო სკოლა სეპტიკის და საკვამური მილების მოწობა, სახურავის რეაბილიტაცია.
- ✓ სსიპ სოფ. კორმადალის საჯარო სკოლა ფასადის რეაბილიტაცია.
- ✓ სსიპ სოფ. გორმადალის საჯარო სკოლა სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.
- ✓ სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის №1 საჯარო სკოლა (ძირითადი კორპუსი) სახურავის რეაბილიტაცია.
- ✓ სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის №1 საჯარო სკოლა (ძირითადი კორპუსი) შიდა ოთახების და ფასადის რეაბილიტაცია ასევე ახალი სპორტ დარბაზის მშენებლობა - პროექტირება.

განმარტება: რიგ შემთხვევებში შემსრულებელი კომპანიის მიერ სამუშაოები მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკის დარღვევით, რაზეც ერიცხებათ შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. ბ) ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი დასრულებულია, მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცედურა (მომწოდებლებს წარმოსადგენი აქვთ ინსპექტირების ანგარიშები, მოსამზადებელია/მზადდება მიღება-ჩაბარების აქტები) დაფინანსებისთვის. გ) ასევე, სხვაობას იწვევს ზოგიერთი პროექტის დასრულებისას, საბოლოო ანგარიშსწორების დროს დარჩენილი ეკონომია. (გაუთვალისწინებელი ხარჯები და დაკორექტირებული მოცულობები)

გ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 405.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 404.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომელიც 24 დასახელების სხვადასხვა წრეში აერთიანებს 500-მდე მოსწავლეს, ემსახურება მოსწავლის ინტერესების დაკმაყოფილებას და მორგებულია მოზარდთა გამოწვევებსა და ინტერესებზე. ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს. არაფორმალური დამატებითი სწავლების ორგანიზებას. ხარისხიანი განათლების მიცემას თავისი ბენეფიციარებისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის პოტენციალის განვითარებას. ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით სხვადასხვა პროექტებში ჩართვას, რათა შეეძლოს პროექტების მართვა, ღონისძიებების მენეჯმენტისთვის აუცილებელი უნარების განვითარება. საქმიანი კავშირების გაფართოება. საჯარო სკოლებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, საზოგადოებასთან. თავისუფალი დროის სწორი დაგეგმარება.

ჩატარდება სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში. შემოქმედებითი ჯგუფების საანგარიშო შემაჯამებელი კონცერტები, გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა დაგეგმილი შიდა ღონისძიებებისათვის.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა უზრუნველყო ახალგაზრდობის თვითრეალიზაციისათვის საჭირო გარემოს შექმნა. განახორციელა ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, გაუმჯობესდა სასწავლო პროცესები და მოსწავლეთა და

შემოქმედებითი ჯგუფების ჩართულობა რაიონულ კონფერენციებში და პროექტებში, აგრეთვე რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებში. სკოლისგარეშე არაფორმალური განათლება გახდა ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგები:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ „შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან“-რეჟისორ ვეფხია ნადირაძესთან ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით.
- ✓ „იორდანეს სინა ნათელიღებებს და ქრისტე შეგიმოსიეს“-ლექცია-საუბარი ნათლისღება და მისი მნიშვნელობა დეკანოზ რომანოზ ნინუა.
- ✓ „ანგელოზის წირვა დგება“- ნინოზისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ მხატვრული კომპოზიცია. კალიგრაფიკ ანა თადუმაძის ნამუშევრების გამოფენა.
- ✓ „შობა-ახალ წელიწადი ჩვენთვის გათენებულაო“-საახალწლო- საშობაო ზეიმების კვირეული: „ორუდილას“ უმცროსი ასაკის ჯგუფის ზეიმი, „ორუდილას“ საშუალო ჯგუფების ზეიმი; ხალხური საკრავების ანსამბლი „ჩანგი“ ფოლკლორული ანსამბლი „ალილო“; საშობაო კონცერტი, ქორეოგრაფულ ანსამბლ „ლილესთან“ სტუმრად ზღაპრის გმირები.
- ✓ „ყოველი კარგი წიგნი თვალწინ გვიშლის ახალ სამყაროს“- ინტელექტუალური საათი, მოსწავლეთა პარლამენტი.
- ✓ „ღირსმსახურები ქართულ მიწა- წყალს“ - დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი შემეცნებითი საათი, მოსწავლეთა პარლამენტი.
- ✓ „იუნკერების ხსოვნის დღე“- ფლავიუსები დარიგდა ქალაქის მასშტაბით მოსწავლეთა პარლამენტის მიერ.
- ✓ ქ. ქუთაისში საერთაშორისო უნივერსიტეტში შემეცნებით სალექციო კურსზე საჯარო სკოლების თვითმმართველობების მოსწავლე-ახალგაზრდობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.
- ✓ „მზე ,დედა და სიყვარული“- პოეზიის საათი მოსწავლეთა პარლამენტი.
- ✓ „შენ სიცოცხლის დედა ხარ“- „ორუდილა“ უმცროსი თაობა.
- ✓ შემეცნებითი აქცია - „წყალი და მისი დაცვა ჩვენი მოვალეობაა“- ეკოლოგთა წრე.
- ✓ „რეფერენდუმის დღე“- რეპორტაჟი მუზეუმიდან ჯონი ნადირაძესთან ერთად .მოსწავლეთა პარლამენტი ,საჯარო სკოლები.
- ✓ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების ჟურნალ „სამტრედიის მატთან“-ს მე-8 ნომრის გამოცემა.
- ✓ „ჯანსაღ სხეულში...“-ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა წითელ ჯვართან .მოსწავლეთა პარლამენტი, საჯარო სკოლები.
- ✓ „დაუკარით რომ ძველ ხანჯალს“- პოეზიის საათი,დამწუხრებული დედის მონუმენტთან.მოსწავლეთა პარლამენტი.
- ✓ „ვნების კვირა იერუსალიმში“- ფილმის ჩვენება .ისტორია მხარეთმცოდნეობის წრე.
- ✓ „ხმათა ხვედრებისა და ღმერთების ენა“- ლიტერატურულ- მხატვრული კომპოზიცია .მოსწავლეთა პარლამენტი.
- ✓ „წიგნები გადაარჩენენ მსოფლიოს“ საბავსვო წიგნების კვირეულისადმი მიძღვნილი პრეზენტაცია.მოსწავლეთა პარლამენტი, მკითხველთა კლუბი.
- ✓ ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლილე“ქუთაისობის ღონისძიებაში მონაწილეობა,
- ✓ „მე ვარ სენია წმინდა მოწამის“ წმ.გიორგის ხსენების დროისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მოსწავლეთა პარლამენტი.
- ✓ „თქვენ მამულს ედექით ფარად“- მსვლელობა დედის ძეგლთან (ფლავიუსების დარიგება) მოსწავლეთა პარლამენტი.
- ✓ გასვლითი ღონისძიება- ანსამბლები: „ ალილო“ , „ ორუდილა“ , „ ფანტაზია“ ქ.საირმეში.
- ✓ მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.
- ✓ გასვლითი ღონისძიება - ანსამბლები: „ლილე“ , „ალილო“ , „ჩანგი“ , „ორუდილა“ , „ფანტაზია“ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში.

- ✓ რეპორტაჟი მუზეუმიდან- საქართველოს დამოუკიდებლობს დღე“ - მოსწავლეთა პარლამენტი, საჯარო სკოლები.
- ✓ „ილორმინე საქართველო“- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია.მოსწავლეთა პარლამენტი
- ✓ შემოქმედებითი ჯგუფები: „ორუდილა“, „ფანტაზია“, „ალილო“ გასვლითი ღონისძიება საერთაშორისო ფესტივალ „საირმეში“- „საირმე 2025“.
- ✓ ანსამბლ „ლილე“-ს საიუბილეო ღონისძიება.
- ✓ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი რაიონული ღონისძიება - ანსამბლები: „ლილე“ „ორუდილა“, „ფანტაზია“.
- ✓ გასვლითი ღონისძიება -საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს ტალღა“ ანაკლია- ანსამბლი „ლილე“.
- ✓ ბავშვთა შემოქმედებითი გაერთიანება „ორუდილას“ მოსამზადებელი ჯგუფის საზაფხულო კონცერტი.
- ✓ ბავშვთა შემოქმედებითი გაერთიანება „ორუდილა“ საზაფხულო კონცერტი -პროექტი მომავლის ხმები.
- ✓ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფლემზობი - შოუ-ბალეტი ფანტაზია.
- ✓ ფოლკ-თეატრი „ლილე“ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე მონაწილეობისათვის „თურქული ტალღა“ ქ. ანტალიაში.
- ✓ ფოლკლორულ ანსამბლ „ჩანგის და „ალილოს“ კონცერტი.
- ✓ გასვლითი ღონისძიება - ფესტივალი „მზიანი საქართველო“ ქ. ქობულეთი ანსამბლები: „ალილო“, „ჩანგი“.
- ✓ საანგარიშო შემაჯამებელი სოლო კონცერტი ანსამბლი - „ლილე“.
- ✓ ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლილე“-ს შემაჯამებელი კონცერტი სამტრედიის ერ. მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში.
- ✓ წმ. ნაზარე ლეჟავას ხსენებისადმი მიძღვნილი ღონისძიება , მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი ჯგუფების ჩართულობა ;
- ✓ ღია ცის ქვეშ გაიმართა მუსიკალური საღამო შემოქმედებით ჯგუფებისა და ანსამბლების მონაწილეობით.
- ✓ „მე აფხაზეთის ნაწილი ვარ“ - სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია. ისტორია მხარეთმცოდნეობის წრე.
- ✓ სამტრედიოზა - მოსწავლეთა პარლამენტის ფერფორმანსი.
- ✓ „სამტრედიოზა - 2025“-სადმი მიძღვნილი ღონისძიება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ანსამბლების და შემოქმედებითი ჯგუფების ჩართულობით.
- ✓ ჯგუფისათვის (ლილე) შეიკერა 12 ცალი საბალეტო კაბა.
- ✓ „სამტრედიის მაცნე ჩვენი მეგობარია“- სტუმრად რედაქციაში, სიუჟეტი სამტრედიის მაცნეზე. მოსწავლეთა პარლამენტი, ჟურნალისტთა წრე.
- ✓ „უცნობი თუ ნაცნობი გალაკტიონი“-გალაკტიონობას მიძღვნილი პოეზიის საათი მოსწავლეთა პარლამენტი ,მოსწავლეთა თეატრი.
- ✓ ფოლკლორული თეატრი „ლილე“-ს პროექტი ქორეოგრაფიული კომპოზიცია „დაბრუნება“ .
- ✓ გასვლითი ღონისძიება - „ზამთრის ზღაპარი“ ქ.ბათუმი ანსამბლები: „ჩანგი“ , „გიტარისტთა ჯგუფი“.
- ✓ საახალწლო კონცერტი- ანსამბლები: „ჩანგი“ , „ალილო“ , „გიტარისტთა ჯგუფი“.
- ✓ ბავშვთა შემოქმედებითი გაერთიანება„ორუდილა“ საშუალო და უფროსი ასაკის კონცერტი.
- ✓ ბავშვთა შემოქმედებითი გაერთიანება „ორუდილა“ უფროსი თობის კონცერტი.
- ✓ საახალწლო კონცერტი - ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლილე“.
- ✓ თანამედროვე რიტმული ცეკვების ანსამბლი - „ფანტაზია“ -ღია გაკვეთილი.
- ✓ ანსამბლ „ლილე“-ს საახალწლო კონცერტი,
- ✓ საახალწლო ამანათები (ტკბილეული),
- ✓ ღონისძიებებზე ტექნიკური მომსახურეობა
- ✓ საცეკვაო კოსტიუმების შექმნა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლილე“-სთვის (ნაბდები ძველი „ნაბდურის“ საცეკვაო მოტივებიდანაა აღებული ექსკიზი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებდა 25 წრე და ჩაატარა ზემოთ აღნიშნული ყველა ღონისძიება და აქტივობა. მონაწილეობა მიიღო რაიონულ, რეგიონულ და რესპუბლიკურ ფესტივალ კონკურსებში. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული იყო 495 მოსწავლე, მათ შორის ვაჟი 200, გოგონა 295. სადღესასწაულო და კულტურულ ღონისძიებას აქტიურად ესწრებოდა ადგილობრივი მოსახლეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებადი წრეების რაოდენობა იქნება -25 და შენარჩუნდება ღონისძიებებში, პროექტებსა და აქციებში ჩართული საგნობრივ და შემოქმედებით წრეებში გაერთიანებული მოსწავლეთა კონტიგენტი და მოსწავლეთა პარლამენტი (მოსწავლეთა თვითმმართველობა).

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა ჩაატარა ზემოთ აღნიშნული ყველა ღონისძიება და აქტივობა. მონაწილეობა მიიღო რაიონულ, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალ კონკურსებში. ზემოთ აღნიშნულ 62 ღონისძიებებში ჩართული იყო 450 მოსწავლე, მათ შორის ვაჟი 128 და 322 გოგონა.

სადღესასწაულო და კულტურულ ღონისძიებებს აქტიურად ესწრებოდა ადგილობრივი მოსახლეობა და მოსწავლე-ახალგაზრდობა.

დ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 158.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 134.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.8%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. ბაგა-ბაღების გარკვეული ნაწილი, რომლებიც დღეის მდგომარეობით არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, გაუმჯობესდება პირობები. გარემონტდება ოთახები, სამზარეულოები, სველი წერტილები. შეიცვლება ინვენტარი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: აღსაზრდელებისა და პედაგოგებისათვის სწავლისა და დასვენებისათვის შესაფერისი გარემო.

მიღწეული შუალედური შედეგები:

ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომლითაც აღსაზრდელებისა და პედაგოგებისათვის სწავლისა და დასვენებისათვის შესაფერისი გარემო შეიქმნა.

1. ქალაქ სამტრედიის, N9 და N10 საბავშვო ბაღების ოთახების სარემონტო სამუშაოების შესყიდვა

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს მოწყობილი-რეაბილიტირებულია 1 საბავშვო ბაღი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს დაგეგმილი იყო 3 საბავშვო ბაღის ოთახების სარემონტო სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს მოეწყო და რეაბილიტირდა 2 საბავშვო ბაღი.

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 6,023.1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6,135.7 ათასი ლარისა, რაც გეგმის 98.2 პროცენტს შეადგენს. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა 3,476.4 ათასი ლარი, კულტურის განვითარების ხელშეწყობას - 1,835.1 ათასი ლარი, შპს „სამტრედიის მაცნე“-ს - 137.6 ათასი ლარი, აიპ სამტრედიის


მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრს - 75.1 ათასი ლარი, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსებას - 220.5 ათასი ლარი, ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსებას - 268.0 ათასი ლარი, ხოლო - კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაციას - 10.4 ათასი ლარი.

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6,135.7	6,023.1	98.2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3,535.6	3,476.4	98.3
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია	1,051.0	1,001.7	95.3
05 01 02	სპორტული სკოლები	2,484.6	2,474.7	99.6
05 01 02 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი	184.3	179.6	97.4
05 01 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა	402.2	401.1	99.7
05 01 02 03	ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"	192.3	190.4	99.0
05 01 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"	236.6	236.6	100.0
05 01 02 05	შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"	792.2	790.6	99.8
05 01 02 06	ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"	283.2	282.7	99.8
05 01 02 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	393.8	393.7	100.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,849.2	1,835.1	99.2
05 02 01	სახელოვნებო სკოლები	987.7	980.1	99.2
05 02 01 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N1 სახელოვნებო სკოლა	272.0	267.4	98.3
05 02 01 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა	138.5	138.0	99.6
05 02 01 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლების სამუსიკო სკოლა	89.1	88.7	99.6
05 02 01 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	121.0	119.6	98.8
05 02 01 05	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	135.6	135.3	99.8
05 02 01 06	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	110.5	110.3	99.8
05 02 01 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	121.0	120.8	99.8
05 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	693.5	688.8	99.3
05 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	168.0	166.2	98.9
05 03	შპს „სამტრედიის მაცნე“	139.8	137.6	98.4
05 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	75.2	75.1	99.9

05 05	ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	257.5	220.5	85.6
05 05 01	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	49.5	27.8	56.2
05 05 02	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	208.0	192.7	92.6
05 06	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	268.0	268.0	100.0
05 07	კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცია	10.4	10.4	100.0

(თანხა ათას ლარებში)



ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 3,535.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,476.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.3%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

პროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, რაგბი) ჩატარებულ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს რაიონის ახალგაზრდებმა. რეაბილიტირდა მინი სპორტული მოედნები, დაჯილდოვდა წარმატებული სპორტსმენები.

ბ) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია

(პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის

კეთილმოწყობის სამსახური და განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 1,051.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,001.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.3%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი:

სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სამტრედიის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვანების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;

სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწრთვანების ტრანსპორტირებაში დახმარება; პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.

პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სტადიონების მშენებლობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ღირებულება და ახალი სტადიონების მოწყობა და არსებულის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიზანი: მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება; სპორტის სხვადასხვა სახეობების წახალისება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; სტადიონებისა და მინი სტადიონების გარკვეული ნაწილი, რომლებიც დღეის მდგომარეობით არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, გაუმჯობესდებათ პირობები.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაიზარდოს სპორტული ასპარეზობების რაოდენობა; რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაკავდეს სპორტით, იცხოვროს ჯანსაღად, მივაღწიოთ ისეთ შედეგებს, რომ სპორტულ ცხოვრებაში ჩართვა მოტივაცია გახდეს კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდისთვის. განვითარეს გუნდური თამაშები და იასპარეზონ უფრო მეტი წარმატებით სხვადასხვა ჩემპიონატებში; პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა და წარმოჩენა. მაქსიმუმის მიღწევა. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო სივრცე ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად.

მიღწეული შუალედური შედეგები:

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში გამარჯვებული გუნდებისათვის შესყიდული იქნა სპორტული ფორმები. სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით. სპორტული ღონისძიებებისათვის შესყიდული იქნა სპორტული ინვენტარი. მიღებული იქნა მონაწილეობა სპორტის მართვის მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების ასოციაციის მიერ დაგეგმილ იმერეთის სასკოლო ლიგაში. ფულადი ჯილდოთი დაჯილდოვდნენ საფეხბურთო ტურნირებში მონაწილე სოფლის გუნდები. დაჯილდოვდნენ რეზო შანიძის სახ. ჭადრაკის ტურნირში გამარჯვებულები. დაჯილდოვდნენ ი.ქუთათელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფეხბურთის ტურნირში გამარჯვებული გუნდები და მსაჯი. დაჯილდოვდნენ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ ქართულ ჭიდაობაში გამარჯვებულები, გამართულ საცხენოსნო ტურნირებში გამარჯვებულები. დაჯილდოვდნენ ფეინთბოლის ტურნირში გამარჯვებული გუნდები. დაჯილდოვდნენ დაბა კულაშში გამართულ მინი ფეხბურთის ტურნირში გამარჯვებული გუნდები. ჩატარდა შაკო ბარამიძისა და მიშო ნიკურაძის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, გამარჯვებული გუნდებს გადაეცათ ფულადი ჯილდო. ჩატარდა ჩოგბურთი სამტრედიელ მოყვარულთა შორის „სამტრედია - 2025“, გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო. დაჯილდოვდნენ აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ფეხბურთის ტურნირში გამარჯვებულები. ჩატარდა სამტრედიის გრან. პრი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში, დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები. ჩატარდა მინი ფეხბურთის ტურნირი „კულაშის თასში“ დაჯილდოვდა გამარჯვებული გუნდი. ლ. თევზაძის ქუჩაზე მდებარე ჩოგბურთის კორტებზე გაიმართა ჩოგბურთის ღია ტურნირი მოყვარულთა შორის, დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები. „სამტრედია“ დღესასწაულზე ჩატარდა ჭიდაობა

„ფალავნობა“ გამარჯვებული დაჯილდოვდა. ა. ქუთათელაძის სახელობის კალათბურთის ტურნირში გამარჯვებულს გადაეცა ჯილდო. დიდ ჯიხაიშში ჩატარდა საცხენოსნო ტურნირი, გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო. დაჯილდოვდნენ ვახტანგ ხელისუფალისა და მილერი ქიშმარიას სახ. ხელბურთელთა ტურნირში გამარჯვებულები და მსაჯები დღესასწაულ. „სამტრედიაობაზე“ დაჯილდოვდნენ მკლავჭიდიში გამარჯვებულები. ჩატარდა ა. მაჩიტაძის სახელობის მემორიალი ჭადრაკში და დაჯილდოვდნენ მონაწილე გამარჯვებული მოჭადრაკეები და ჭადრაკის მწვრთნელები. წლის ბოლოს გაიმართა წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოება. სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესყიდული იქნა დიპლომები და სიგელები. სხვადასხვა გასვლით ტურნირებში და ღონისძიებებში მონაწილეები უზრუნველყოფილი იქნენ საკვებითა და ტრანსპორტით. სულ დაახლოებით 1500 მონაწილე (ვაჟი 80%, ქალი 20 %);

ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში, ადმინისტრაციული და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეების რეაბილიტაცია/მშენებლობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტულ მოედნებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მოეწყო ინფრასტრუქტურა. ზოგ მათგანს ჩაუტარდა შეღობვითი სამუშაოები და მოეწყო განათება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტულ მოედანზე განხორციელდა სხვადასხვა კეთილმოწყობითი სამუშაოები. ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტებით შეიქმნა ახალი გამაჯანსაღებელი კერები და გაუმჯობესდა იერსახე.

1. ქ. სამტრედიაში, მანჯგალაძის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია

2. გომის ადმ. ერთეულში სოფ. მთისძირში სტადიონის მოწყობა

3. ქ. სამტრედიაში ივანე ნიკოლეიშვილის ქუჩა N155ა-ში მდებარე ხელოვნურ საფარიანი მინი ფეხბურთის მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის კეთილ-მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

4. ქ. სამტრედიაში, წერეთლის ქუჩა N130-ში მდებარე იპოდრომის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღანიში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული მინი ფეხბურთის მოედანზე ხელოვნური საფარის შეცვლის სამუშაოების შესყიდვა

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ მელაურში მინი სპორტული მოედნის ხელოვნურ საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 18 ღონისძიება, სულ 1400 ბენეფიციარი, მოეწყო 9 სტადიონი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სულ 18 ღონისძიება; სხვადასხვა ღონის ტურნირებში და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს 1500 სპორტსმენი, მოეწყობა-რეაბილიტირდება 6 სტადიონი .

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სულ 18 ღონისძიება; სხვადასხვა ღონის ტურნირებში და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღო 1500 სპორტსმენმა, მოეწყო და რეაბილიტირდა 6 სტადიონი.

გ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 184.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 179.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.4%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: საცხენოსნო სპორტული კლუბი მუნიციპალიტეტში ინარჩუნებს ცხენოსნობის უძველეს ეროვნულ სახეობებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს ორთოპედიული დაავადებების მქონე პირებს. გარდა ამისა, ქმნის საჭირო პირობებს ახალგაზრდა ცხენოსან სპორტსმენების განვითარებისთვის, რათა სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბი კვლავ მრავალჯერ იყოს საქართველოს ჩემპიონი. იგი ერთადერთი საცხენოსნო კლუბია იმერეთის რეგიონში.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შენარჩუნებულ იქნას ცხენოსნობის ქართული უძველესი ეროვნული სახეობები, მუნიციპალიტეტში ჩატარდეს სპორტული ღონისძიებები, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ჩემპიონატში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გამართულ შეჯიბრებებში და ასახელოს სამტრედია.

დაგეგმილი იყო 2025 წელს მონაწილეობის მიღება ცხენოსნობის ქართულ ეროვნულ სახეობებში გამართულ შეჯიბრებებში.

მიღწეული შუალედური შედეგები: საცხენოსნო სპორტული კლუბი მუნიციპალიტეტში ინარჩუნებს ცხენოსნობის უძველეს ეროვნულ სახეობებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს ორთოპედიული დაავადებების მქონე პირებს. გარდა ამისა, ქმნის საჭირო პირობებს ახალგაზრდა ცხენოსანი სპორტსმენების განვითარებისთვის, რათა სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბი კვლავ მრავალჯერ იყოს საქართველოს ჩემპიონი. იგი ერთადერთი საცხენოსნო კლუბია იმერეთის რეგიონში. 26 მაისს და 28 აგვისტოს ჩატარებულ ცხენოსნობის ქართულ ეროვნულ სახეობებში კლუბმა დაიკავა გუნდური პირველი ადგილი, ხოლო სექტემბერში ქ.აბაშაში საქართველოს ჩემპიონატზე მოიპოვა პირველი ადგილი და გახდა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი.

დ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 402.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 401.1 ათასი ლარით, რაც გეგმის - 99.7%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: სკოლის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ხელშეწყობა და განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენარჩუნება-გამდიერება. ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფებში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბიუჯეტიდან სპორტის სუბსიდირების თვალსაზრისით დაფინანსება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა გამოავლინონ მათი სპორტული შესაძლებლობები.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ასევე წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს უწყობს სპორტსმენტა რაოდენობის ზრდას, პერსპექტიულ სპორტსმენტა წარმოჩენას. პროგრამის განხორციელება ხელს უწყობს სპორტის ეროვნულ სახეობათა პოპულარიზაციას, სპორტსმენტების წარმოჩენას, სპორტულ განმაჯასაღებელი ღონისძიებების ორგანიზებას.

მიღწეული შუალედური შედეგები: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა წინამდებარე პროგრამით დასახული მიზნების განხორციელების მიზნით ქმნის სპორტულჯგუფებს, სექციებს ინტესიური წვრთნების მიმდინარეობას, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 11 ძირითადი სახეობა, გაწევრიანებულია 430 სპორტსმენი. კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის შემდეგი ძირითადი სახეობები: კალათბურთი (3 ჯგუფი), ფრენბურთი (2 ჯგუფი), კარატე (1 ჯგუფი), მძლეოსნობა (2 ჯგუფი), ჭადრაკი (2 ჯგუფი), მაგიდის ჩოგბურთი (1 ჯგუფი), აკრობატიკა (1 ჯგუფი), კინკბოქსინგი (1 ჯგუფი), ძალოსნობა (1 ჯგუფი), ჩოგბურთი (1 ჯგუფი), ფეხბურთი (9 ჯგუფი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში 2024წელს ფუნქციონირებს 11 წრე. მწვრთნელთა რაოდენობა 2024 წელს პროგრამის ფარგლებშიარის 24 მწვრთნელ-მასწავლებელი (მათ შორის 5 ქალი). განხორციელდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, პროგრამის ფარგლებში აღნიშნული ჯგუფების მონაწილეობა იმერეთის, საქართველოს და სხვადასხვა სახელობით ჩემპიონატებსა და ტურნირებში, წარმატებების შემთხვევაში მონაწილეობა საზღვარგარეთ ჩატარებულ ღონისძიებებში.

დაგეგმილი მაჩვენებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში 2025 წელს ფუნქციონირებს 11 წრე. მწვრთნელთა რაოდენობა 2025 წელს პროგრამის ფარგლებშიარის 23 მწვრთნელ-მასწავლებელი (მათ შორის 10 ქალი). სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, პროგრამის ფარგლებში აღნიშნული ჯგუფების მონაწილეობა დაგეგმილია იმერეთის, საქართველოს და სხვადასხვა სახელობით ჩემპიონატებსა და ტურნირებში, წარმატებების შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებენ საზღვარგარეთ ჩატარებულ ღონისძიებებში. სპორტის მასობრიობა და პოპულარიზაცია. უფრო მეტი მოზარდი თაობის აღზრდასპორტულ სკოლაში არსებული სახეობის პოპულარიზაცია. ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, საქართველოს ნაკრების წევრების აღზრდა. შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება და ჩემპიონების გამოვლინება. მიღწევები სპორტში, იმერეთის, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონების

აღზრდა. სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა. ახალგაზრდობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

მიღწეული მაჩვენებელი: კომპლექსური სპორტული სკოლის სპორტსმენებს მნიშვნელოვანი წარმატებები გააჩნიათ; არიან იმერეთის, საქართველოს, სხვადასხვა ფესტივალებსა და ტურნირებში გამარჯვებულები. მნიშვნელოვანი წარმატებებით ასპარეზობენ კარატეს ჯგუფის სპორტსმენები, მათი აღზრდილები მონაწილეობენ, როგორც ევროპის ისე მსოფლიოს ჩემპიონატებში და საპრიზო ადგილებს იკავებენ. ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ სპორტულმა სკოლამ 2025 წელს პროგრამის ფარგლებში ჩაატარა 120 სპორტული ღონისძიება.

ე) ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო" (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 192.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 190.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.0%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“-ს ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტის ქალთა გუნდური სახეობების ზოგადად და კერძოდ ქალთა ფრენბურთის პროპაგანდა, პოპულარიზაცია და დამკვიდრება. საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“ წარმოდგენილია ფრენბურთელ ქალთა გუნდით „ჯიკო“ და შესაბამისად კლუბის პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე საწვრთნელი პროცესის ფორმებისა და მეთოდების დანერგვით სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებასა და სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნას, შეჯიბრებებისათვის ინტესიური მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზებას, მონაწილეობის მიღებას, როგორც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, ასევე საერთაშორისო შეხვედრებში, მწვრთნელთა სპორტულ-მეთოდური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით სწავლებებში მონაწილეობის მიღებას, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო ორგანიზაციის - სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის, ასევე სპორტის სახეობათა ფედერაციებისა და სხვა სპორტული ორგანიზაცია დაწესებულებათა მიერ ორგანიზებული მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, ტრენინგებში, სემინარებში და ა.შ. საწვრთნელ პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე გუნდ „ჯიკო“-ს წევრთა უზრუნველყოფას ეკიპირების სრული კომპლექტით, ბურთებით, ტრენაჟორებით და ა.შ. საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“-ს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე ფრენბურთელ ქალთა გუნდ „ჯიკო“-ს შევსება ადგილობრივი მოთამაშეებით, უმცროსი ასაკის ჯგუფების შექმნითა და პერსპექტიული მომავალი თაობის აღმოჩენით. ამავე დროს პროგრამა მიზნად ისახავს სპორტმენტა მოზიდვას მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარედანაც.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში.

მიღწეული შუალედური შედეგები: საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“ წარმოდგენილი იყო ფრენბურთელ ქალთა გუნდით „ჯიკო“, რომელმაც გარკვეული პრობლემების ფონზე საქართველოს 2024-2025 წლების 33-ე ეროვნულ ჩემპიონატში მე-4 საპრიზო ადგილი მოიპოვა, ხოლო ახალგაზრდულ ნაკრებს ორი და ეროვნულ ნაკრებს ერთი წევრი მიაწოდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედია გუნდის შევსება ადგილობრივი და ახალგაზრდა მოთამაშეებით. გუნდის ძირითადი აქტივობა გამოხატული იყო ეროვნული ჩემპიონატის ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: კლუბის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა ეტაპობრივად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ფრენბურთელებისათვის სამწვრთნელო-სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება.

დაგეგმილია შეხვედრები:

1. საქართველოს 2024-2025 წლის 33 ეროვნული ჩემპიონატში მონაწილეობა.
2. საქართველოს 2025 წლის ეროვნულ ჩემპიონატში (პლაჟის ფრენბურთში ქალთა შორის. უმაღლესი ლიგა) მონაწილეობა
3. საქართველოს 2025 წლის ეროვნული ჩემპიონატის (თოვლის ფრენბურთში ქალთა შორის. უმაღლესი ლიგა) შეხვედრებში მონაწილეობა
4. საქართველოს 2025 წლის ასაკობრივი ჩემპიონატის (2009/2010/U18) რეგიონალური ეტაპის შეხვედრებში მონაწილეობა

მიღწეული მაჩვენებელი: საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“-ს ძირითადი აქტივობა სპორტული მიმართულებით გამოხატული იყო, ფრენბურთელ ქალთა გუნდი „ჯიკო“-ს მიერ, როგორც კლასიკურ ფრენბურთში ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობით, ასევე თოვლის და ქვიშის ფრენბურთში ეროვნულ ჩემპიონატებსა და ჩემპიონთა ლიგის საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობით, კერძოდ:

საქართველოს 2024-2025 წლების 33-ე ეროვნულ ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) მეხუთე ადგილით დაიკავა, ხოლო საქართველოს 2025-2026 წლების 34-ე ეროვნულ ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) პირველი ტური მესამე ადგილი დაიკავა.

საქართველოს 2025 წლის ეროვნულ ჩემპიონატში (პლაჟის ფრენბურთში ქალთა შორის. უმაღლესი ლიგა) გუნდი „ჯიკო“ საქართველოს ჩემპიონი გახდა და მონაწილეობა მიიღო თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ აივალიკში გამართულ, CEV - ის 2025 წლის პლაჟის ფრენბურთის ევროპის თასის გათამაშებაში. დაიკავა მეოთხე ადგილი.

2025 წელს გუნდი მონაწილეობდა საქართველოს 2025 წლის ეროვნული ჩემპიონატის (თოვლის ფრენბურთში ქალთა შორის. უმაღლესი ლიგა) შეხვედრებში და დაიკავა მეხუთე ადგილი.

2025 წელს გუნდი „ჯიკო“ მონაწილეობდა საქართველოს 2025 წლის ასაკობრივი ჩემპიონატის (2009/2010/U18) რეგიონალური ეტაპის შეხვედრებში, რომელიც გაიმართა ქ. ქუთაისში და რეგიონის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო იმავე ეგიდით ჩატარებულ ფინალურ ტურში, რომელიც ქ. თელავში გაიმართა საართველოს ჩემპიონები გახდნენ. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის ტიტული მარიამ იოსერაშვილმა მოიპოვა და მიწვეული იქნა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში.

2025 წელს კლუბის მიერ განხორციელდა პროგრამით ეტაპობრივად გათვალისწინებული სამუშაოების გეგმიური ნაწილი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ფრენბურთელებისათვის სამწვრთნელო-სავარჯიშო პირობების გაუმჯობესების კუთხით.

ვ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია" (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 236.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 236.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ააიპ ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია" ემსახურება სპორტის მასობრიობას და პოპულარიზაციას, მოზარდი თაობის ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას და მის დამკვიდრებას მოზარდ თაობაში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ გაერთიანდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში როგორც ვაჟები, ისე გოგონები, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს მასშტაბით (საჭიროების შემთხვევაში საზღვრებს გარეთაც) ჩატარებულ სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში. შეინარჩუნონ არსებული ტრადიციები და მოიპოვონ ახალი წარმატებები. მომავალში მათ უნდა წარმოადგინონ და ასახელონ სამტრედიის მუნიციპალიტეტი საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთაც.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: პროგრამით გათვალისწინებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, ხელბურთის გაჯანსაღება და გაუმჯობესება, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, ვაჟებსა და გოგონათა შორის. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. საქართველოს ნაკრები გუნდების კანდიდატების მომზადება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

ხელი შეეწყო კლუბში ვაჟთა და გოგონათა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ფუნქციონირებს. რაც იძლევა მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარების და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის საშუალებას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს კლუბში გაწევრიანებული იყო 120 სპორტსმენი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში და ტურნირებში. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ირიცხებოდა 1 სპორტსმენი, ახალგაზრდულ ნაკრებში 2 ვაჟი და 1 გოგონა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს დაგეგმილია ხელბურთით მეტი ახალგაზრდის დაინტერესება და კლუბში გაწევრიანება, მონაწილეობის მიღება საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატში. ასევე სასკოლო ფესტივალის „ხელბურთი ყველასათვის“ მსვლელობისას ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა. ეროვნული ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს კლუბში გაწევრიანებულია 130 სპორტსმენი.

1. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში კაცთა შორის კლუბმა დაიკავა მე-3 ადგილი.
 2. 2012-2013 წწ. დაბადებულ გოგონათა გუნდი გახდა ჩემპიონები.
 3. ქ. ბათუმში „შავი ზღვის თასი“ კლუბის ვაჟთა გუნდმა დაიკავა 2 ადგილი.
 4. სხეფ-ის „სპორტი ყველასათვის“ ორგანიზებით დაბა ურეკში გაიმართა პლაჟის ხელბურთის ჩემპიონატი, სადაც ჩვენი კლუბის გუნდი გახდა ჩემპიონი.
 5. მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გამართულ 10 მემორიალურ ტურნირში, სადაც დაიკავეს საპრიზო ადგილები.
- ჭაბუკთა გუნდი მიწვეული იყო მოლდავეთში , სადაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ანდრეი პრაპორშიკის ხსოვნის ტურნირში.
- კლუბის 5 წევრი ირიცხება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 1 სპორტსმენი, ახალგაზრდულ ნაკრებში 2 ვაჟი და 1 გოგონა, ჭაბუკებს შორის 2 გოგონა და 2 ვაჟი.

ზ) შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია" (პროგრამული კოდი 05 01 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 792.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 790.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: სპორტი ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობასა და მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ არის სამტრედიის ეროსი მანჯგალადის სახელობის, ცენტრალური საფეხბურთო მოედნის, სპორტული დარბაზის, საცურაო აუზის, მინი საფეხბურთო მოედნების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დროებით მოსარგებლე. მისთვის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ამ ტერიტორიის მოვლა შენახვა და მოსწავლეთათვის, შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს სპორტსმენთათვის, ქალაქისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ძირითად საქმიანობაში შედის საცურაო აუზით, საფეხბურთო მინი მოედნებით, ცენტრალური საფეხბურთო მოედნითა და სპორტული დარბაზით მომსახურება. მისი მიზანია მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნა მოზარდი თაობების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდაში. ცენტრალური საფეხბურთო მოედანი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების თანახმად უფასოდ ემსახურება საფეხბურთო სპორტულ კლუბ სამტრედიას და სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ეხმარება და უზრუნველყოფს მათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით და მათი ვარჯიშისა და მატჩებისთვის საუკეთესო პირობებით. მისი მიზანია, ბავშვთა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარება, შპს სპორტული კომპლექსი-სამტრედიას ჰყავს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა საფეხბურთო ტურნირებსა თუ ღონისძიებებში. ცდილობს რაც შეიძლება მრავლად ჩაერთოს სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მოსწავლე ახალგაზრდობა. საცურაო აუზი დატვირთულია მთელი წლის განმავლობაში. აქ მაქსიმალურად დაცულია ჰიგიენური პირობები, ცურვის სპეციალისტი და მასაჟისტი ემსახურება სქოლიოზით დაავადებულ მოზარდებს. ცენტრალურ საფეხბურთო მოედანზე მიმდინარეობს საფეხბურთო მატჩები და ტარდება სხვადასხვა საფეხბურთო ღონისძიებები. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობენ მოედნის პირობები აკმაყოფილებდეს, ნებისმიერი ლიგის სტანდარტებს. სპორტულ დარბაზში, ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მაქსიმალური პირობების დაცვით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

2025 წლის განმავლობაში გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში და მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს, კერძოდ 25, 26 და 27 მარტს ქ. სამტრედიაში ჩატარდა „გრასრუთი“-ის თასი 2012 წელს დაბადებული ბავშვების მონაწილეობით, სადაც მოიპოვეს მესამე ადგილი, დასახელდა ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელი. 19-21 ივნისს დაბა ურეკში ჩატარდა „სოსო გაგუა“-ს სახელობის ტურნირი 2016 წელს დაბადებული ბავშვების მონაწილეობით, სადაც მოიპოვეს მეორე ადგილი და დასახელდა ტურნირის

საუკეთესო ბომბარდირი. 28-31 აგვისტოს ქ.ბათუმში ჩატარდა „ატეიტის თასი ბათუმი 2025“ 2013 წელს დაბადებული ბავშვების მონაწილეობით, სადაც მოიპოვეს პირველი ადგილი. 1-2 ნოემბერს ქ. ლანჩხუთში ჩატარდა „გიგლა იმნაზე“-ს საიუბილეო ტურნირი 2012 წელს დაბადებული ბავშვების მონაწილეობით, მოიპოვეს პირველი ადგილი და დასახელდა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი. 28 ნოემბერს ქ. წყალტუბოში ჩატარდა იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტურნირი 2013 წელს დაბადებული ბავშვების მონაწილეობით „თემურ ცნობილაძე“-ს სახელობის თასი, სადაც მოიპოვეს მეორე ადგილი და ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

2025 წლის განმავლობაში საცურაო აუზის ვიზიტორთა საერთო რაოდენობამ 2025 წლის განმავლობაში 6000 შეადგინა.

თ) ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი" (პროგრამული კოდი 05 01 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 283.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 282.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის "კლუბი ფენიქსი" ემსახურება სპორტის მასობრიობას და პოპულარიზაციას, მოზარდის თაობის ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის "კლუბი ფენიქსი"-ს მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარების ხელშეწყობა და გაუმჯობესება, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, ვაჟებსა შორის. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. აგრეთვე საქართველოს მასშტაბით და მის საზღვრებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნირებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდების კანდიდატების მოძიება. სპორტული ღონისძიებათა კალენდარის შემუშავებითა და შესრულებით სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა. ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები: 2025 წლის განმავლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „რაგბის კლუბი ფენიქსი“-მ საქმიანობა წარმართა სამტრედიის მუნიციპალიტეტში ვაჟებს შორის, მათ შორის, მოზარდ თაობაში, რაგბის განვითარების ხელშეწყობისა და გაუმჯობესების, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარებისა და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისა და მისი დამკვიდრების მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2022 წლის აგვისტოდან „რაგბის კლუბი ფენიქსი" მონაწილეობას იღებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ორგანიზებულ სეზონურ საქართველოს შიდა ჩემპიონატში რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის. 2024 წელს ირიცხებოდა 135 ბავშვი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 დაემატა ასაკობრივი B ლიგის გუნდი, რომელიც საქართველოს შიდა ჩემპიონატში იღებს მონაწილეობას. „რაგბის კლუბი ფენიქსიში" დაკომლექტდა ბავშვთა გუნდი. „რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას იღებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს მიერ ორგანიზებულ საბავშვო საფესტივალო ლიგის გათამაშებაში.

მიღწეული მაჩვენებელი: გაიზარდა ბავშვთა რაოდენობა და ამჟამად შეადგენს 162 ბავშვს.

- 1) ასაკობრივი გუნდების საფესტივალო ლიგის თამაშები და B ლიგის საქართველოს ჩემპიონატი.
- 2) საფესტივალო ლიგა სადაც 7 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს და B ლიგა საფესტივალო თამაშები ტარდება ბავშვების განვითარებისთვის და მოსამზადებლად B ლიგის საქართველოს ჩემპიონატისთვის ასევე B ლიგის გუნდი რომელიც მონაწილეობას იღებს საქართველოს ჩემპიონატში და ამ ეტაპზე ვართ მეორე ადგილზე.
- 3) საფესტივალო ასაკში წარმატება წაუგებელი სერიები და B ლიგის საქართველოს ჩემპიონატის მეორე ადგილი.

ი) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი" (პროგრამული კოდი 05 01 02 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 393.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 393.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის შესწავლაში, შერჩეული სპორტსმენების მზადების საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სამინისტროების ან სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება. მონაწილეობის მიღება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სპორტის სახეობათა ფედერაციებისა და სხვა სპორტულ ორგანიზაცია-დაწესებულებათა მიერ ორგანიზებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, სემინარებში და სხვა სპორტლონისძიებებში. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“-ს სასპორტო-საწვრთნელი პროცესის ძირითად ფორმას წარმოადგენს: ჯგუფური საწვრთნელი და თეორიული მეცადინეობები, ინდივიდუალური წესით მეცადინეობები, რომელიც (ინდივიდუალური და პერსპექტიული გეგმების შესაბამისად) აუცილებელია დახელოვნებისა და დაოსტატების ეტაპზე.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში, აგრეთვე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვების მომზადება, საწვრთნელი პროცესის ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მსოფლიოს, ევროპის პრიზიორებსა და ჩემპიონებს ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და დიდებს შორის წარმატებული სპორტსმენების წახალისების მიზნით სტიპენდიის გაცემას.

მიღწეული შუალედური შედეგები: ხელი შეეწყო კლუბში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ფუნქციონირებას, როგორცაა ჭიდაობის სახეობები: თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ/რომაული, ძიუდო, სამბო და ქართული. რაც იძლევა მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარების და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის საშუალებას საქართველოს ნაკრებისთვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს კლუბში გაწევრიანებული იყო 290 სპორტსმენი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში. სტიპენდიით წახალისებული იყო 13 სპორტსმენი

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს ფუნქციონირება გააგრძელოს ჭიდაობის სახეობებმა როგორცაა: თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ/რომაული, ძიუდო, სამბო და ქართული. დაგეგმილია ჭიდაობით მეტი ახალგაზრდის დაინტერესება და კლუბში გაწევრიანება, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ 83 მუნიციპალურ, სამხარეო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში. საჭიდაო კლუბი „ფალავანი“, ს მიერ განხორციელებული პროგრამის შედეგად წარმატებების მიღწევა, ჩვენი კლუბის სპორტსმენებმა დაიკავეს მსოფლიოსა და ევროპის საპრიზო ადგილები. რომლებიც წახალისებული იქნებიან სტიპენდიით.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს კლუბში გაწევრიანებულია 300 სპორტსმენი. ფუნქციონირებს ჭიდაობის 5 სახეობა: თავისუფალი ჭიდაობა (6ჯგუფი), ბ/რომაული (5 ჯგუფი), ძიუდო (3 ჯგუფი), სამბო (2 ჯგუფი) და ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), რომელთა საწვრთნელ საქმიანობას უზრუნველყოფს 17 მწვრთნელ-მასწავლებელი. გეგმის შესაბამისად მონაწილეობა მიიღეს 83 მუნიციპალურ, სამხარეო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში. მათ შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სახეობების შესაბამისად 20-მდე საქართველოს ჩემპიონატზე იასპარეზეს და შესაბამისად დაიკავეს სხვადასხვა საპრიზო ადგილები, რომელთა შორის მოპოვებული წარმატებიდან გამომდინარე კლუბს ყავს 12 საქართველოს ნაკრების წევრი და 7 სტიპენდიანტი. 2025 წელს კლუბის აღზრდილმა სპორტსმენებმა ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობა სამბოში დიდებს შორის დაიკავა მე-3 საპრიზო ადგილი.

კ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N 1 სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N 1 სახელოვნებო სკოლა

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა 272.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 267.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.3%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა

წრები, როგორცაა საფორტეპიანო, ვიოლინო, ჩელო, ფლეიტა, საყვირი, ხალხური საკრავები, საესტრადო. ირიცხება 187 მოსწავლე.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოზარდთა მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში. სამტრედიაში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მუსიკალური განათლების მიღება.

მიღწეული შუალედური შედეგები: სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორგესტრო, ვოკალური, საესტრადო და ქართულ ხალხურ საკრავების განყოფილებები. მოსწავლეთა მუსიკალურ განათლებაზე ზრუნავენ კვალიფიციური პედაგოგები სახელოვნებო სკოლა კონკურსების ფესტივალების და სხვა ღონისძიებების საშუალებით ავლენს და წარმოაჩენს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეებს და ამზადებს უმაღლესი სასწავლებლისათვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სკოლის მიმდინარე ხარჯები.

2025 წელს ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის მიერ ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: საახალწლო, სარვაშარტო, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი და სხვადასხვა სასკოლო, ღია და დახურული კონცერტები ჩათვლები, მისაღები გამოცდები, პირველ კლასელთა მოსმენა, გამოსაშვები გამოცდები და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები. სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ კონკურსებში კერძოდ:

- ქ. ქუთაისი-მუსიკის საყმაწვილო ფესტივალი „დელფიდა“ 2025 მონაწილეობა მიიღო ვოკალური და ქართული ხალხური საკრავების განყოფილებამ. ვოკალი - 18 მოსწავლე, ხალხური - 4 მოსწავლე, დაჯილდოვდნენ I ხარისხის დიპლომით და გრან-პრი. პედაგოგები კონცერტმეისტერები და სკოლის დირექტორი დაჯილდოვდნენ სიგელით.

- ქ. ქუთაისი - ლიანა ისაკაძის სახელობის N1 საერთაშორისო კონკურსი. მონაწილეობა მიიღო საორგესტრო განყოფილების ერთმა მოსწავლემ. წარმატებული მონაწილეობისათვის გადაეცა დიპლომი, დაჯილდოვდა ფულადი პრემიით. პედაგოგს გადაეცა საუკეთესო პედაგოგის წოდება.

- ქ. წყალტუბო ი. ს. ბახის სახელობის მე-8 ეროვნული კონკურსი. მონაწილეობა მიიღო საორგესტრო განყოფილებამ. დაჯილდოვდა ლაურიატის დიპლომით.

- ქ. თბილისი - კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურსი მომავლის ვარსკვლავები. მონაწილეობა მიიღო ერთმა საორგესტრო განყოფილების მოსწავლემ. დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს ჩატარდა 38 სასკოლო ღონისძიება: საახალწლო, დედის დღისადმი და ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტები, ღია და დახურული კონცერტები, მისაღები გამოცდები, პირველ კლასელთა მოსმენა, გამოსაშვები გამოცდები, კლასიდან კლასში გადაყვანილი გამოცდები რომელშიც მონაწილეობა მიიღო 110-მა მოსწავლემ. სკოლის ღონისძიებებს დაესწრო 470 სტუმარი. 39-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა ხობის, წყალტუბოს, სენაკის ქუთაისის ფესტივალებსა და კონკურსებში და დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით II და ლაურეატის წოდებით. ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 186 ბავშვი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წლისათვის სახელოვნებო სკოლაში დაგეგმილი იყო 38 სასკოლო ღონისძიება და 10 კონკურსი/ფესტივალი. ფესტივალებსა და კონკურსებში დასაჯილდოებულ ბავშვთა რაოდენობა განისაზღვრა 110 ბავშვით, ბენეფიციართა რაოდენობა 186 ბავშვი

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს ჩატარდა 38 სასკოლო ღონისძიება: საახალწლო, დედის დღისადმი და ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტები, ღია და დახურული კონცერტები, მისაღები გამოცდები, პირველ კლასელთა მოსმენა, გამოსაშვები გამოცდები, კლასიდან კლასში გადაყვანილი გამოცდები რომელშიც მონაწილეობა მიიღო 110-მა მოსწავლემ. სკოლის ღონისძიებებს დაესწრო 470 სტუმარი. 39-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა ხობის, წყალტუბოს, სენაკის ქუთაისის ფესტივალებსა და კონკურსებში და დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით II და ლაურეატის წოდებით. ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 186 ბავშვი.

ლ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 138.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 138.0 ათასი ლარით, რაც გეგმის - 99.6%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოზარდთა მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში. ახალგაზრდებისათვის დაწყებითი მუსიკალური განათლების მიღება.

მიღწეული შუალედური შედეგები: 2024-2025 სასწავლო წელს საგანმანათლებლო მიზნით ჩატარდა შემდეგი სახის სამუშაოები: ჩათვლები, ღია და დახურული კონცერტები, ჩატარდა ჩათვლები გამებსა და ეტიუდებში, პოლიფონიურ ნაწარმოებებში, დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, საორკესტრო განყოფილების კონცერტი, კლასის კონცერტები პედაგოგების მიხედვით. საჩვენებელი გაკვეთილები თეორიულ საგნებში. სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა ღია აკადემიური კონცერტი და ჩატარდა კლასიდან კლასში გადასაყვანი, გამოსაშვები და მისაღები გამოცდები. საახალწლო კონცერტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს სამუსიკო სკოლის მიერ ჩატარდა 22 ღონისძიება: საახალწლო, დედის დღისადმი, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი და სხვადასხვა სასკოლო, ღია და დახურული კონცერტები და ჩათვლები.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2025 წლისათვის დაგეგმილი იყო 22 ღონისძიება. მ/შ საორკესტრო განყოფილების კონცერტი, კლასის კონცერტები პედაგოგების მიხედვით, საჩვენებელი გაკვეთილები თეორიულ საგნებში. მოსწავლეთა რაოდენობაა 130 ბავშვი.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს ჩატარდა 22 ღონისძიება: საახალწლო, დედის დღისადმი, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი და სხვადასხვა სასკოლო, ღია და დახურული კონცერტები, წლის საანგარიშო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობამ. სკოლის ღია აკადემიური კონცერტს დაესწრო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მოსწავლეთა მშობლები, სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების დირექტორები და პედაგოგები.

მ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ტოლების სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ტოლების სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 89.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 88.7 ათასი ლარით, რაც გეგმის - 99.6%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 52 მოსწავლე. ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა არის სკოლის გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოსწავლეს აძლევს დაწყებით სამუსიკო განათლებას, რაც თავის მხრივ ემსახურება მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნების, წარმოსახვისა და ანალიზის უნარის ჩამოყალიბებას, ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდთა გამოვლენა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

2025 წელს ჩატარდა გეგმით დათვალისწინებული ყველა ღონისძიება. სამუსიკო სკოლაში ირიცხება 52 მოსწავლე. სკოლამ უზრუნველყო მოსწავლეთათვის დაწყებით სამუსიკო განათლების მიღება, რაც თავის მხრივ ემსახურება მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნების, წარმოსახვისა და ანალიზის უნარის ჩამოყალიბებას, ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს ჩატარდა ტოლების სამუსიკო სკოლის გეგმით გათვალისწინებული 2 კონკურს-ფესტივალი და 7 ღონისძიება, სადაც მონაწილეობდა 24 მოსწავლე.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს ჩატარდა საახალწლო, დედის დღისადმი, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი და სხვადასხვა სასკოლო, ღია და დახურული კონცერტები და ჩათვლები. გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები, სკოლის საანგარიშო კონცერტები ასევე სენაკის არტ.ფესტივალი. ტოლების სამუსიკო სკოლის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სენაკის არტ. ფესტივალზე საპატიო დიპლომებითა და სიგელებით ასევე სამუსიკო სკოლამ მიიღო საპატიო დიპლომი.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს ჩატარდა სამუსიკო სკოლის გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. კონკურს-ფესტივალების რაოდენობა - 1, ჩატარებული ღონისძიებები - 6, მონაწილეთა რაოდენობა - 52.

ნ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 121.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 119.6 ათასი ლარით, რაც გეგმის - 98.8%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები სკოლაში ირიცხება 80 მოსწავლე, სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო და ხალხური საკრავების განყოფილება.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოზარდთა მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში. გომის თემში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მუსიკალური განათლების მიღება.

მიღწეული შუალედური შედეგები: 2024-2025 სასწავლო წელს საგანმანათლებლო მიზნით ჩატარდა შემდეგი სახის სამუშაოები: ჩათვლები, ღია და დახურული კონცერტები, სხვადასხვა კონკურსები. ჩატარდა ჩათვლები გამებსა და ეტიუდებში, პოლიფონიურ ნაწარმოებებში, ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა ღია აკადემიური კონცერტი და პედაგოგ ნინო ამალღობელის კლასის კონცერტი. სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო სამ სხვადასხვა კონკურსსა და ფესტივალში და პირველი ხარისხის პრემია და მესამედ ლაურეატის წოდება დაიმსახურა. ასევე, საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ სკოლის მოსწავლეთა ფოლკლორული ანსამბლი. ჩატარდა კლასიდან კლასში გადასაცვანი, გამოსაშვები და მისაღები გამოცდები. საახალწლო კონცერტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს სამუსიკო სკოლის მიერ ჩატარდა 24 ღონისძიება: საახალწლო, სარვაშარტო, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი და სხვადასხვა სასკოლო, ღია და დახურული კონცერტები და ჩათვლები. სხვადასხვა ფესტივალსა და კონკურსებში დაჯილდოვდა 11 მოსწავლე, 1 ლაურეატის წოდებით და 10 საპატიო სიგელით. მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 80 ბავშვს.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წლისათვის დაგეგმილი იყო 24 ღონისძიება. სხვადასხვა ფესტივალსა და კონკურსებში დაჯილდოვებულ ბავშვთა რაოდენობა განისაზღვრა 10 ბავშვით, მოსწავლეთა რაოდენობა 80 ბავშვით.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს ჩატარდა 24 ღონისძიება: საახალწლო, სარვაშარტო, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი და სხვადასხვა სასკოლო, ღია და დახურული კონცერტები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60-მა მოსწავლემ. 11-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა სენაკისა და ლანჩხუთის ფესტივალსა და კონკურსებში და დაჯილდოვდნენ სხვადასხვა სიგელებით. ერთი ბავშვი ლაურეატის წოდებით 10 კი საპატიო სიგელით.

ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 86 ბავშვი.

ო) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 135.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 135.3 ათასი ლარით, რაც გეგმის - 99.8%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 114 მოსწავლე.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის სახელოვნებო განათლების მიღება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

2025 წელს ჩატარდა ყველა სადღესასწაულო დღისადმი მიძღვნილი საკონცერტო ღონისძიებები, მოეწყო სამხატვრო გამოფენა, ჩატარებული იქნა გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება, ჩათვლები გამებსა

და ეტიუდებში, ღია გაკვეთილები, დამამთავრებელი კლასის მოსმენები, დახურული კონცერტები, სამხატვრო გამოფენები და სხვა.

28 მაისს სახელოვნებო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეებმა, გუნდმა და ხალხურმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო კონკურს-ფესტივალ „სენაკი 2025“, სადაც დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით და დიპლომებით.

20 ივნისს სახელოვნებო სკოლის საფორტეპიანო და ხალხურმა განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო კლასიკური მუსიკის საყმაწვილო ფესტივალ, „დელფიადა 2025“ ქუთაისის კონსერვატორიაში, სადაც დაჯილდოვდნენ გრან-პრით და პირველი ხარისხის დიპლომებით.

ქორეოგრაფიულმა განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს, ქობულეთის, ბათუმის და თბილისში გამართულ ფესტივალებში, სიგელები ინახება ადგილზე.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში ნიკოპოლის კვირეულში მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო სკოლის ყველა განყოფილებამ.

19 დეკემბერს ქ. გორში ფესტივალ „ცოცხალი ტრადიციები“ მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო სკოლის ხალხურმა და ვოკალურმა განყოფილებებმა. დაიმსახურეს პირველი ხარისხის დიპლომები.

20 დეკემბერს სახელოვნებო სკოლის სამხატვროგანყოფილებამ მონაწილეობა მიიღო თბილისში „სტუდია N-ის“ საერთაშორისო ფესტივალ გამოფენაზე მარჯანიშვილის თეატრში. სიგელები ინახება ადგილზე. დეკემბრის თვეში სახელოვნებო სკოლაში ჩატარდა დახურული კონცერტები და საახალწლო კონცერტი. 2025 წელს გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება წარმატებით იქნა შესრულებული, სადაც მონაწილეობდა სახელოვნებო სკოლის ყველა მოსწავლე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს ჩატარდა სახელოვნებო სკოლის გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. კონკურს-ფესტივალების რაოდენობა - 6. მოწყობილი ღონისძიებები - 15. მონაწილეთა რაოდენობა - 114.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს იგეგმება სახელოვნებო სკოლის გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების ჩატარება და სხვადასხვა ფესტივალებზე წარმატებით მონაწილეობა.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს ჩატარდა სახელოვნებო სკოლის გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. კონკურს-ფესტივალების რაოდენობა - 8, ჩატარებული ღონისძიებები - 17, მონაწილეთა რაოდენობა - 114.

პ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 110.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 110.3 ათასი ლარით, რაც გეგმის - 99.8 %-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 73 მოსწავლე.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის სახელოვნებო განათლების მიღება.

მიღწეული შუალედური შედეგები: სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის გარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს სასწავლო პროგრამის შესაბამისად. სასწავლო პროცესში ხელი შეეწყო ახალგაზრდა თაობის მუსიკალური განათლების მიღებას. სამუსიკო სკოლაში სიით ირიცხება 73 მოსწავლე. 2025 წლის განმავლობაში ჩატარდა 6 ღონისძიება, მათ შორის 2 ფესტივალი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი 2024 წელს სამუსიკო სკოლაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: 1. საგაზაფხულო კონცერტი 2. პირველკლასელთა მოსმენა 3. სკოლის აკადემიური კონცერტი, 4. საახალწლო კონცერტი 5. ქ.სენაკის არტ-ფესტივალი (სამი დიპლომატი ორი საპატიო დიპლომი 6. კლასიკური მუსიკის საყმაწვილო ფესტივალი -დელფიადა 2024 (7 გრან-პრი, 5 დიპლომატი);

დაგეგმილი მაჩვენებელი 2025 წლისათვის დაგეგმილი იყო სამუსიკო სკოლის მიერ მოწყობილი სხვადასხვა ღონისძიებები, მ/შ ფესტივალები, რათა შენარჩუნდეს და გაიზარდოს სამუსიკო განათლების მსურველთა რაოდენობა, სხვადასხვა ღონის კონკურსებში წარმატების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს სამუსიკო სკოლაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: 1. საგაზაფხულო კონცერტი 2. პირველკლასელთა მოსმენა, 3. სკოლის აკადემიური კონცერტი, 4. საახალწლო კონცერტი 5. ქსენაკის არტ-ფესტივალი (სამი დიპლომატი, ორი საპატიო სიგელი) 6. ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო მცხეთის კულტურის ცენტრში ფესტივალი „ოქროს გაზაფხული“, ასევე მონაწილეობა მიიღო ფესტივალში ახალი წლის „ვარსკვლავები“ ეროსი მანჯგალაძის კულტურის ცენტრი, ქორეოგრაფიისთვის მიძღვნილი დღე.

ჟ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა (პროგრამული კოდი 05 02 01 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 121.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 120.8 ათასი ლარით, რაც გეგმის - 99.8%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას ძირითადი მიზანია პირობები შეუქმნას სამტრედიაში მოღვაწე მხატვრებს თავიანთი შემოქმედების წარმოსაჩენად. ამავ დროს მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, აზიაროს ხატვის ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. მხატვართა დაინტერესებისა და სტიმულირებისთვის მოეწეოს გამოფენა-გაყიდვები. სამხატვრო სკოლა-გალერეას ამოცანა ხელოვნათა შემოქმედების პროპაგანდაა. განახლდება გალერეაში არსებული ფერწერული ტილოების ფონდი, რაც გულისხმობს თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების შექმნას და ამავდროულად, ფონდში დღემდე დაცული რამდენიმე ფერწერული ტილოს აღდგენა-რესტავრაციას.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შექმნილია პირობები სახვითი ხელოვნების დარგების პოპულარიზაციისათვის, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის მაქსიმალური ჩართულობა, ასევე სამხატვრო სახელოვნებო მიმართულებით სასწავლო და პროფესიული დონის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები: მოსწავლე-ახალგაზრდობას მიეცა სახელოვნებო განათლება. გაიცნეს და შეიყვარეს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები; მაქსიმალურად იყენენ ჩართული პროფესიონალი მხატვრები და სკოლის აღსაზრდელები მუნიციპალიტეტსა თუ სხვადასხვა ქალაქებში გამართულ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარების მიზნით ჩატარებულ გამოფენებსა თუ ფესტივალებში. სამხატვრო სკოლა-გალერეა აქტიურად ახორციელებდა პროფესიონალ მხატვართა და სამხატვრო სკოლის აღსაზრდელების შემეცნებით - შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართვას ფესტივალებსა და სხვადასხვა სახის კონკურსებში, (ექსკურსიებზე გაყვანა მუზეუმებსა და გალერეებში) მასტერ-კლასებსა და პრაქტიკული გაკვეთილების ჩატარებას პლენერზე (ქალაქგარეთ გასვლა). სამხატვრო სკოლა - გალერეას ადმინისტრაციამ აღჭურვა დაწესებულება შესაბამისი ინვენტარით და აღჭურვილობით.

2025 წლის 1 იანვრიდან სამხატვრო სკოლა -გალერეა მიზნად ისახავდა და განახორციელა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში ჩართულობა და ორგანიზება, კერძოდ:

- ✓ 26-29. 01. 2025. საერთაშორისო ფესტივალ „ჰარირა“ - ბორჯომ-ბაკურიანი-2025“ ბავშვთა ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.
- ✓ 7.02.2025. „ქრისტიანული ხელოვნება, ხატწერა და კალიგრაფია,“ სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.
- ✓ 28.02.2025. „მასტერ-კლასი“ ჯვარცმის ბაზილიკური ტაძრის ხატწერა, ანალიზი და გრაფიკული ახაზვა. სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით.
- ✓ 8.03.2025. ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შიდა სასკოლო გამოფენა თემაზე „დედა“
- ✓ 9.03. 2025. გალერეა „ვარლა“ ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პროფესიონალ მხატვართა გამოფენა. სამტრედიელი მხატვრების მონაწილეობით.
- ✓ 21.03.2025. თბილისი. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა-კონცერტი „მზის შვილები“ სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით.
- ✓ 26.05 2025. პროფესიონალ მხატვართა და თვითნასწავლ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. (ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს)

✓ 1.06.2025. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ბავშვთა და მოზარდთა ნამუშევრების დათვალიერება - გამოფენა.

✓ 10.06.2025. ვანი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუშაობა პლენერზე (სამხატვრო სკოლის მოსწავლეები)

✓ 28.08.2025. გამოფენა "იმერული პალიტრა" პროფესიონალ მხატვართა და თვითნასწავლ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა დავით კაკაბაძის სახელობის სურათების გალერეაში, გამოფენაში მონაწილეობდნენ სამტრედიელი მხატვრები.

✓ 19.09.2025. "სამტრედიობა" პროფესიონალ მხატვართა და თვითნასწავლ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა.

✓ 23.11.2025. თბილისი. საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი. ბავშვთა და მოზარდთა ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა მიძღვნილი „გიორგობის“ დღესასწაულისადმი.

✓ 22.12.2025. თბილისი. გამოფენა თემაზე „გაცოცხლებული ტრადიციები“ ბავშვთა ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა- 14. სხვადასხვა გამოფენა- კონკურსებსა და ფესტივალებში დაჯილდოებულ ბავშვთა და პროფესიონალ მხატვართა რაოდენობა: მოსწავლე - 51. მხატვარი - 3. ბენეფიციართა რაოდენობა - 168, 10 - თვითნასწავლი შემოქმედი ოსტატი, 7- პროფესიონალი მხატვარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო 6-10 გამოფენის ჩატარება და სხვადასხვა ქალაქებში გამართულ გამოფენა-კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობა.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - 13. სხვადასხვა გამოფენა- კონკურსებსა და ფესტივალებში, მონაწილეობა მიიღო 163 მოსწავლემ. დაჯილდოებულ ბავშვთა და პროფესიონალ მხატვართა რაოდენობა: მოსწავლე-52. მხატვარი- 3. ბენეფიციართა რაოდენობა - 163 (მ.შ.114-გოგონა. 47-ვაჟი) 10 - თვითნასწავლი შემოქმედი ოსტატი, 7- პროფესიონალი მხატვარი.

რ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 693.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 688.8 ათასი ლარით, რაც გეგმის - 99.3%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კულტურული შემეცნებითი, საგანმანათლებლო მოღვაწეობის, დასვენებისა და გართობის უზრუნველყოფა, ახალი თაობის აღზრდა სახელოვნებო სფეროში. თეატრალურ, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობა. სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება. თანამშრომლობა ადგილობრივ და მეზობელ მუნიციპალიტეტს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობის მისაწვდომობის მიზნით საქმიანი კავშირების გაფართოება სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, საჯარო სკოლებთან და სკოლამდელ დაწესებულებებთან. საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა (მოყვარული-სტატუსით) თეატრალურ, სამუსიკო და ქორეოგრაფიულ დარგში და მათი მონაწილეობა ფესტივალებში, კონკურსებში. თავისუფალი დროის სწორი დაგეგმარება და ურთიერთთანამშრომლობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან და მეზობელი მუნიციპალიტეტების ხელოვანებთან. საკლუბო მუშაობის გაფართოება. ადგილობრივი მედია სივრცის ათვისება. ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები, შემოქმედებითი ჯგუფების საანგარიშო შემაჯამებელი კონცერტები.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალი თაობის აღზრდა სახელოვნებო სფეროში, თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობა;

მიღწეული შუალედური შედეგები:

ა.ა.ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრმა 2025 წლის განმავლობაში უზრუნველყო ღონისძიებები:

სახალწლო კონცერტი - კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფები. ქართული თეატრის დღე სპექტაკლი - „თავისუფალი ტანგო“-რეჟისორი ლორიტა ჯორჯიკია. დრამატული თეატრის 2 სპექტაკლის პრემიერა 1. ქეთი პატარაია „სან ნიკოლას პიაცა“, რეჟისორი ვეფხვია ნადირაძე. 2. ივანე ბუკოვჩანი „ლუიჯის გული“ რეჟისორი ლორიტა ჯორჯიკია.

დრამატული თეატრის რიგითი სპექტაკლების ჩვენება:

1. „სან ნიკოლას პიაცა“, 2. თავისუფალი ტანგო, 3. „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“-დმანისის ზინაიდა კვერენჩილადის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და სამტრედიის ეროსი მანჯგალადის სახელობის დრამატული თეატრის კოპროდუქცია. 4. „ლუიჯის გული“ თოჯინების თეატრი სპექტაკლები „რწყილი და ჭიანჭველა“ „სამი გოჭი“ „ურჩი ბაჭია“ კულტურის ცენტრის ბავშვთა ვოკალური ანსამბლ „იმედი“-ს კონცერტი „ქართული დუეტი“(ხელმძღვანელი ანა აბზიანიძე, პედაგოგი ლეილა რუხაძე). „ეროოსი მანჯგალაძე 100“-საიუბილეო საღამო (მოწვეული და ადგილობრივი ძალებით)

ბაშის კულტურის სახლის გახსნისადმი მიძღვნილი კონცერტი, 26 მაისი-საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. ა.ა.ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით ჩატარებული სხვადასხვა საიუბილეო საღამოები და კონცერტები.

გასვლითი ღონისძიებები:

კულტურის ცენტრის ვაჟთა მგალობელ - მომღერალთა გუნდის „მასპინძელი“-ს გასტროლი და კონცერტები საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში ქალაქ ბერლინში. გუნდმა „მასპინძელმა“ მონაწილეობა მიიღო „ნიკოპოლის“ დღესასწაულზე. კულტურის ცენტრის დრამატულმა თეატრმა მონაწილეობა მიიღო 1. ინდოეთის რესპუბლიკა ქ. აჰმადაბადში გურჯარატის უნივერსიტეტში ქართული თეატრალურ ფესტივალში სპექტაკლით „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“-კოპროდუქცია. 2. თელავში ფესტივალზე „მაჩაბელას შემოდგომა თელავში“ ფსპექტაკლით „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“-კოპროდუქცია (საქართველოს კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით) დრამატულმა თეატრმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „იმერეთი“-2025-ში სპექტაკლით „სან ნიკოლას პიაცა“. სპექტაკლი დაჯილდოვდა ნომინაციაში „საუკეთესო სცენოგრაფია“. 28-29 ნოემბერს ლიეტუვას რესპუბლიკაში კაუნასის რაიონის რამუჩიას კულტურის ცენტრში ჩატარდა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „მასკარადი“ კულტურის ცენტრის დრამატული თეატრი წარსდგა სპექტაკლით „სან ნიკოლას პიაცა“. სპექტაკლს გადაეცა რესპუბლიკური რესინტალიზაციის ცენტრის სპეციალური პრიზი „კულტურული პროექტის მხარდაჭერისა და ფესტივალში მონაწილეობისათვის“.

კულტურის ცენტრის ბავშვთა ვოკალურმა ანსამბლმა „იმედმა“ მონაწილეობა მიიღო ქ.ქუთაისში ფესტივალ-კონკურს „იმერეთის ხმა“-ში, სადაც საპრიზო 1-2-3 ადგილები დაიკავეს. ანსამბლმა „იმედმა“ უფროსმა თაობამ მონაწილეობა მიიღო „ნიკოპოლის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

კულტურის ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამტრედია“ იმყოფებოდა გასტროლით ქ.თბილისში ქართული ქორეოგრაფიის ცენტრის მიერ ორგანიზებულ შემაჯამებელ კონცერტზე, სადაც დაჯილდოვდნენ მიღწეული წარმატებისათვის.

ანსამბლმა „სამტრედია“-მ მონაწილეობა მიიღო „სამტრედიაობის“ დღესასწაულში ანსამბლმა „სამტრედია“-მ მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიული ფესტივალი „იმერეთის შემოდგომის ფერები სამტრედია 2025“.

ანსამბლი „სამტრედია“ იმყოფებოდა გასტროლით ქ.ქობულეთში ხელოვნების პროგრულ ფესტივალზე „მზიანი საქართველო“ რომელის ჩატარდა შემოქმედებითი ასოციაცია „რევერანსი“-სა და ფესტივალი „მზიანი საქართველო“-ს ერთობლივი პროექტით.

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრის ქალთა ანსამბლი „ათინათი“ გასტროლით იმყოფებოდა ქ.ზესტაფონში ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლის სახელობის ლირიული სიმღერის კონკურს-ფესტივალზე „სულიკო“-2025-ზე.

კულტურის ცენტრის ქალთა ანსამბლი „ათინათი“-მა მონაწილეობა მიიღო „სამტრედიაობის“ დღესასწაულთან დაკავშირებულ ღონისძიება.

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრი 2025 წლის განმავლობაში მოემსახურა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და შემომდეგებითი საქართველოს ფინანსური ხელშეწყობით ჩატარებულ შემდეგ შემოქმედებით კოლექტივებს

- 1.ინგა ბერაძე და გიგი გეგელაშვილის კონცერტი.
- 2.თემურ თათარაშვილის სოლო კონცერტი.
3. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი „ მეზუნია ჩიტები“.
- 4 ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლო კონცერტი.
5. „ოპერა შენს ქალაქში“ - საოპერო მუსიკის კონცერტი.
6. ქ.თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის ორკესტრის ნიჭიერთა „ათწლედი“-ს კონცერტი.
7. ჯგუფი „ალეგრო“-ს კონცერტი
8. ამერიკულ -ქართული თანამედროვე მუსიკის კონცერტი.
9. მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
10. საბავშვო თეატრალური დადგმა „ბურატინოს თავგადასავალი“-საბავშვო თეატრალური დასი„ოქროს გასაღები“
11. თეატრალური სტუდია ნევერლენდი იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ქნა“
12. ბენია მიქაძის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი საღამო -„ბენია მიქაძე-111“ საინიციატივო ჯგუფი -„ჩვენ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და კულტურის ცენტრი.
13. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი ჯგუფის „ორუდილას“ დაანსამბლ „ლილეს“ კონცერტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 2025 წლის შედეგების მიხედვით კონცერტებსა და სპექტაკლებზე გაიზარდა მაყურებელთა რაოდენობა.

ს) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 168.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 166.2 ათასი ლარით, რაც გეგმის - 98.9%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ აერთიანებს 10 ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება 6689 მკითხველს. იგი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის მიმართულებით. მიზანია მოსახლეობის მომსახურება საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: წიგნადი ფონდის ზრდა და მკითხველის სრული დაკმაყოფილება, მკითხველთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა, მოსწავლე-ახალგაზრდობის წიგნისადმი ინტერესის ზრდა და მათი აქტიური ჩართულობა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

მიღწეული შუალედური შედეგები: 2025 წლის განმავლობაში საბიბლიოთეკო გაერთიანებამ აქტიური მუშაობა გაწია მკითხველის მომსახურების, წიგნადი ფონდის განახლების, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით.

ბიბლიოთეკის ფონდის განახლება პროფილის შესაბამისი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, აუდიო-ვიზუალური და სხვა საინფორმაციო საშუალებები); სხვადასხვა ასაკისა და კატეგორიის მკითხველთა დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით; მომხმარებლისთვის კომპიუტერული მომსახურების გაწევა და ელექტრორესურსებით დაკმაყოფილება; ბიბლიოთეკის როლის ზრდა მოქალაქეთა ინფორმაციული და პროფესიული განათლების ზრდის საქმეში; მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

• წლის განმავლობაში დაკომპლექტების განყოფილება შეივსო სხვადასხვა ფორმატის (წიგნები, გაზეთები და სხვა პერიოდული გამოცემები) მასალებით, რომელიც გადანაწილდა საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკებზე.

- წიგნადი ფონდი განახლდა პროფილის შესაბამისი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. წიგნები შეძენილ იქნა როგორც საბიუჯეტო სახსრებით, ასევე შემოწირულობის (მკითხველებისგან, გამომცემლებისგან) გზით. სულ ჯამში შეძენილ იქნა 498 ეგზ. წიგნი, ღირებულებით 7619.03 ლარი.

- საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან პარტნიორობითა და მწერალთა სახლისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „საქართველოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება“-ს ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას წიგნების შესაძენად საჩუქრად 900 ლარიანი ვაუჩერი გადმოეცა.

- საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი პროექტის „გიგანტური წიგნების“ ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა გიგანტური გამოცემა, რომელიც აერთიანებს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოცემული გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის ნომრებს.

- დანირის საოფლო ბიბლიოთეკისთვის შეძენილ იქნა საოფისე ავეჯი.

- წლის განმავლობაში საბიბლიოთეკო გაერთიანებამ სულ მოემსახურა 4583 მკითხველს, რომელზეც გაიცა 13819 საბიბლიოთეკო ერთეული.

- საბიბლიოთეკო გაერთიანებაში წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ღონისძიებები. მათ შორის აღსანიშნავია საბიბლიოთეკო კვირეული, რომლის ფარგლებშიც ქსელურ ბიბლიოთეკებში მოეწყო ლიტერატურულ-მხატვრული სადამოებო, მკითხველთა კონფერენციები, წიგნის განხილვები და სხვა აქტივობები. გაიზარდა მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობა და დამსწრეთა რაოდენობა.

- წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა ერთვებოდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო ასოციაციის პროექტის ფარგლებში ონლაინ რეჟიმში განხორციელებულ საინფორმაციო, სემინარულ შეხვედრებს.

- ბიბლიოთეკასა და საჯარო სკოლებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომლის მიზანია კითხვის კულტურის გაძლიერება, მოსწავლეებში წიგნიერების ამაღლება და ბიბლიოთეკის რესურსების ინტეგრაცია სასწავლო როცესში, განხორციელდა რამდენიმე ერთობლივი კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიება.

- საბიბლიოთეკო გაერთიანების ფონდი სულ შეადგენს 156 637 ეგზ. წიგნს, საერთო ღირებულებით 335882,07 ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი 2024 წელს - წიგნადი ფონდი გაიზარდა 491 ეგზ.წიგნით, საერთო ღირებულებით - 6668; ღონისძიებების რაოდენობა - 18.

დაგეგმილი მაჩვენებელი: არსებული წინგადი ფონდის შენარჩუნება და გეგმაზომიერი განახლება.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს - წიგნადი ფონდი გაიზარდა 498 ეგზ.წიგნით, საერთო ღირებულებით - 7619.03 ლარი; ღონისძიებების რაოდენობა - 23.

ტ) შპს „სამტრედიის მაცნე“ (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შპს „სამტრედიის მაცნე“

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 139.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 137.6 ათასი ლარით, რაც გეგმის - 98.4%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ ერთადერთი გაზეთია მუნიციპალიტეტში, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს მოსახლეობის ყოფაცხოვრებას, ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებს, ასევე, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებს. წინა პლანზე გამოაქვს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული თემები. გაზეთი „სამტრედიის მაცნეს“ პროგრამის მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე დროულად მიწოდება, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის, აგრეთვე მუნიციპალური და ცენტრალური მნიშვნელობის დადგენილებების, განკარგულებების და სხვა ინფორმაციის მიწოდება მთელი წლის განმავლობაში. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ უზრუნველყოფს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას, ორიენტირებულია გამოხატოს საზოგადოების ინტერესი, გააშუქოს მისთვის საჭირობო საკითხები, იყოს ობიექტური და მკითხველამდე სწორად მიიტანოს არსებული მდგომარეობა. ასევე ორიენტირებულია იყოს მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის. გაზეთის ინტერესშია, შექმნას საკუთარი ვებ-გვერდი, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებელამდე ინფორმაციის სწრაფად მიწოდებას. იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას.

შპს ” სამტრედიის მაცნე ” მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ ორიენტირებულია გამოხატოს საზოგადოებრივი ინტერესი, გააშუქოს საზოგადოების საჭიროებო საკითხები, იყოს ობიექტური და მკითხველამდე სწორად მიიტანოს არსებული მდგომარეობა. მასმედიის მედიატორის როლი გააძლიეროს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსახლეობის ინტერესის ზრდა გაზეთში გამოქვეყნებული მასალების მიმართ. მკითხველთა და ხელმძღვრთა ზრდა, ინფორმირებული მოსახლეობა.

მიღწეული შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმიურად განხორციელდა გაზეთ „სამტრედიის მაცნე“-ს გამოცემა. მაქსიმალურად გაშუქდა საგანმანათლებლო, კულტურისა და სპორტისცხოვრების საკითხები მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემები, ასევე განხორციელდა მიმდინარე პროექტები, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ინფორმირებულობას, მკითხველთა რაოდენობის ზრდას, მასმედიის როგორც მედიატორის როლის გაძლიერებას ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, მოსახლეობის ინტერესის ზრდას გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიცისტური, პოლიტიკური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და ინტელექტუალური თემატიკის შემცველი მასალების მიმართ. აქცენტი გაკეთდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული თემებზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი 2024 წელს გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ წლიურად გამოიცა 24 ნომერი, (500 ტირაჟი) მომხმარებლის რაოდენობა შეადგენს 1900.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საანგარიშო წელს დაგეგმილი იყო წინა წელს გამოშვებული გაზეთის რაოდენობის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: გაზეთი „სამტრედიის მაცნე“-ს რედაქციაში გამოიცა 23 ნომერი, (500 ტირაჟი) მომხმარებლის რაოდენობა შეადგენს 2050.

უ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 75.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 75.1 ათასი ლარით, რაც გეგმის - 99.9%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საზოგადოების ინფორმირება; სოციალური პროექტების ხელმისაწვდომობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

www.samtredia.com.ge მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი ყოველდღიურად განახლების რეჟიმში იყო. 2025 წელს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 390 მასალა განთავსდა. ვებ-გვერდზე აიტვირთა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ოფიციალური დოკუმენტაცია. აქტიურად მუშაობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი სოციალური მედიის კუთხით. საინფორმაციო ცენტრმა მაქსიმალურად უზრუნველყო მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების გაშუქება. საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების ადამიანური რესურსისა და მატერიალური ტექნიკური ბაზის გამოყენების საშუალებით მუნიციპალიტეტში არა ერთი აქტივობა განხორციელდა.

საინფორმაციო ცენტრი არის ინოვაციური, რაც გამოიხატება ახალგაზრდული საკითხების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებში.

2025 წელს საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით ახალგაზრდების ცნობიერების გაზრდის მიზნით მოეწყო შეხვედრები ახალგაზრდებისთვის, ჩატარდა ტრენინგები: პროექტების წერა და მართვა, მედიაწიგნიერება.

საინფორმაციო ცენტრის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თანამშრომელთა გადამზადება, ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ადგილობრივ დონეზე დაგეგმილ ტრენინგებში. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს მოწყვლად ჯგუფებთან. (ქალები, ბავშვები, შშმ პირები, დევნილები) ღსანიშნავია, რომ ცენტრთან არსებულ საინფორმაციო პორტალზე რეგულარულად ხორციელდება ინფორმაციის განახლება და მიწოდება საზოგადოებისთვის, www.samtredia.com.ge-ზე თავმოყრილია მუნიციპალიტეტის როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე ყველა საჯარო მოხელის შესახებ ინფორმაცია რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალებას და კავშირს საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ასევე საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე შესაძლებელი არის ინფორმაციის მოპოვება ქალაქში არსებული საგანმათლებლო, კულტურული, ეკონომიკური დაწესებულებების და მათი სიახლეების შესახებ. აქტიურად მუშაობს ვებგვერდთან არსებული სოციალური ქსელი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი მართავს მუნიციპალიტეტში არსებულ ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოსთან არსებულ სოციალურ გვერდს.

მხარდაჭერით ხორციელდება სოციალური პროექტი რომელიც 2025 წელს საინფორმაციო ცენტრში ადგილობრივი თვითმართველობის ითვალისწინებს ინგლისურისა და კომპიუტერის შესწავლას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საიტს ყოველდღიურად სტუმრობს საშუალოდ 200 მოქალაქე, საიტით ყოველდღიურად სარგებლობს საშუალოდ 60 მოქალაქე, ყოველწლიურად საიტზე განთავსდება საშუალოდ 400 მასალა და ცენტრის ინიციატივით ახალგაზრდებისთვის ყოველწლიურად ტარდება 10 საგანმანათლებლო ტრენინგი.

ფ) ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 49.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 27.8 ათასი ლარით, რაც გეგმის - 56.2%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების დაფინანსებას. ახალგაზრდების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით მათ დაფინანსებას, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული გრანტის მფლობელთა წახალისებას; სხვადასხვა ტიპის სასწავლებლების წარჩინებულ სტუდენტთათვის ფინანსური დახმარების გაწევას (რომლებმაც ასევე მიაღწიეს გამარჯვებას სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო კონკურსებში.) ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-დაფინანსებას, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-დაფინანსებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას.

პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების გააქტიურება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა. ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი ინიციატივებისა და სხვადასხვა პროექტების ფინანსური მხარდაჭერა. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება; ახალგაზრდების საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართვა, ცოდნის დონისა და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარება. ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური გამოყენება;

მიღწეული შუალედური შედეგები: 1 ივნისს ჩატარდა გასართობი შოუ პროგრამა, მოეწყო სადღესასწაულო დიზაინ-დეკორაციები, ჩატარდა „მზისფერის“ სახალისო ვორქშოპი „მხიარული მეცნიერება“, პატარებისათვის „Nimil Art“-ის კულინარიული და შემოქმედებითი მასტერკლასი, მოწვეული იქნა ანიმაციური პერსონაჟები. ჩატარდა „იმედის“ და „ორუდილას“ საბავშვო ანსამბლების კონცერტები. დაჯილდოვდა 2025 წლის „კინგის“ კონკურსში გამარჯვებული მოსწავლე. დაფინანსდა სამტრედიელი მოსწავლეების მონაწილეობა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტ „kiu“-ში ჩატარებულ სხვადასხვა შემეცნებით თემებზე გამართულ ლექციების ციკლში. „ჰელფინგ ჰენდი“ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობით განხორციელდა საგანმანათლებლო სესია სამტრედიელი ახალგაზრდების მონაწილეობით „ახალგაზრდების ინიციატივების

მხარდაჭერა და მოხალისეობის პოპულარიზაცია“; განხორციელდა საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობა აკ. წერეთლის 185 წლის იუბილესთან დაკავშირებით საჩხერეში, „კალიგრაფიისა და მხატვრული კითხვის“ კონკურსში. ჩატარდა გრანტის მფლობელი სტუდენტებისათვის ღონისძიება, სტუდენტებს საჩუქრად გადაეცათ ფულადი თანხა.

დაჯილდოვდნენ სპორტისა და კულტურის სფეროში მოღვაწე წარმატებული სამტრედიელი ახალგაზრდები. სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესყიდული იქნა დიპლომები და სიგელები. სხვადასხვა გასვლით ღონისძიებებში მონაწილეები უზრუნველყოფილი იქნენ ტრანსპორტით. სულ დაახლოებით 5000-მდე მონაწილე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა -13, მოხალისეობრივი ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების და მონაწილეების რაოდენობა - 4500.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღებს 5000 ახალგაზრდამ, განსახორციელებელი ღონისძიებების რაოდენობა - 13.

მიღწეული მაჩვენებელი: 2025 წელს ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 5000-მდე ახალგაზრდამ, განსახორციელებელი ღონისძიებების რაოდენობა - 9.

განმარტება: პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა აღემატება 30%-ს, აღნიშნული მოიცავდა წლის ბოლოს იოანე და თემურ ვაშაკიძეების მემორიალის ინტ. თამაშში „რა,სად, როდის“ ჩატარებას. იმის გამო, რომ არ დარეგისტრირდა ღონისძიებაში მონაწილე გუნდები აღნიშნული ღონისძიება ვერ ჩატარდა, რამაც გამოიწვია ახალგაზრდული ღონისძიებების ასიგნების შესრულების დაბალი პროცენტი.

ქ) კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 208.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 192.7 ათასი ლარით, რაც გეგმის - 92.6%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო, კულტურული ღონისძიებების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების ორგანიზებასა და მხარდაჭერას; სხვადასხვა ფესტივალებში, გამოფენებში, კონკურსებში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებასა და განვითარებას. ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანების წარმოჩენას; წარმატებული, დეაქტიური, დამსახურებული ადამიანების წახალისებას, დაჯილდოებას; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღმნიშვნელი საინფორმაციო ნიშნულების დამზადებას, კულტურული ისტორიული ძეგლების, ღირსეულობის ფოტოებისა და საინფორმაციო ბუკლეტების დამზადებას. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, გასვლითი ტურების ორგანიზებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საგამოფენო სტენდების დამზადებას. მუზეუმის პოპულარიზაციის კუთხით სხვადასხვა აქტივობების გამართვას, მუზეუმის საერთაშორისო დღის აღნიშვნას, ღონისძიებებში ადგილობრივი საჯარო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, კულტურის ცენტრის, მუსიკალური და სახელოვნებო სკოლების შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აქტიურ ჩართულობას. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფას.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში შემოქმედებით, თეატრალურ, მუსიკალურ, მხატვრულ და ხელოვნების სხვა დარგების პოპულარიზაციას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებასა და განვითარებას.

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული რესურსის შესახებ,

მიზიდავს გახდის მუნიციპალიტეტს ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის. მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

2025 წელს საახალწლოდ ამანათები დაურიგდა სპეც. რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციებს. ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართული კონცერტის მონაწილეებს გადაეცათ ჰონორარი. ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ქალბატონები დაჯილდოვდნენ და გადაეცათ ყვავილების თაიგულები. საგამოფენო დარბაზ „ვარლაში“ განხორციელდა მონაწილე მხატვრების დაფინანსება და დაჯილდოება. დაფინანსდა ფესტივალ „იმერეთის ხმის“ სამონაწილეო თანხა. ჩატარდა ბენიამინ მიქაძის საღამო. „ნიკოზის“ დღესასწაულზე მოწვეული ვირტუალური გიდი. ჩატარდა ღონისძიება „დამე მუზეუმში“ . დაფინანსდა „სამტრედიოზა“ ღონისძიების ორგანიზება და ასევე კონცერტის მონაწილეებს გადაეცათ ჰონორარი. 26 მაისს გაიმართა კონცერტი, მოწვეულ ანსამბლებს გადაეცათ ჰონორარი. 26 მაისის კონცერტისათვის დაქირავებული იქნა აპარატურა, ასევე შესყიდული იქნა საქართველოს დროშები. ჩატარდა ელექტრონული მუსიკის საღამო და გაიცა ჰონორარი. დამზადდა სამტრედიელი ფეხბურთელების ბანერი. ჟურნალისტის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე მოწვეულ ჟურნალისტებს გადაეცათ სასაჩუქრე ვაუჩერები და თაიგულები. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ დამსახურებული პედაგოგები.

წლის ბოლოს წარმატებული კულტურის სფეროს მუშაკები დაჯილდოვდნენ. უზრუნველყოფილ იქნა სხვადასხვა გასვლით ტურნირებში და ღონისძიებებში მონაწილეებისათვის კვება. ღონისძიებებისათვის სხვადასხვა დროს შესყიდული იქნა სუვენირები, დიპლომები და სიგელები. სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესყიდული იქნა ყვავილები. განხორციელდა ქალაქგარეთ ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - 22 ღონისძიება; სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა (სტუმარები და ადგილობრივი მაცხოვრებლები) დაახლოებით 7000.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წელს დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების რაოდენობა - 20 ღონისძიება; სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა (სტუმარები და ადგილობრივი მაცხოვრებლები) დაახლოებით 7000.

მიღწეული მაჩვენებელი: უზრუნველყოფილი იქნა გეგმით გათვალისწინებული 19 ღონისძიების განხორციელება.

დ) ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 268.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 268.0 ათასი ლარით, რაც გეგმის - 100.0%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდა მთავარი საკათედრო ტაძარი.

ე) კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 07)

პროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 10.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10.4 ათასი ლარით, რაც გეგმის - 100.0%-ია.


დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლის კულტურის სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამუშაოების შესყიდვა.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 5,600.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.1%-ს შეადგენს (გეგმა - 6,283.1 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას მოხმარდა 662.6 ათასი ლარი, სოციალური პროგრამებს - 4,236.7 ათასი ლარი, ხოლო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას - 701.3 ათასი ლარი .

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6,283.1	5,600.6	89.1
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	678.5	662.6	97.7
06 01 01	აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი	289.5	289.5	100.0
06 01 02	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაცია	389.0	373.1	95.9
06 02	სოციალური პროგრამები	4,436.6	4,236.7	95.5
06 02 01	აიპ „სახლი თანადგომა“	396.7	378.6	95.4
06 02 02	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	270.2	270.0	99.9
06 02 03	დედათა და ბავშვთა დახმარება	415.8	415.1	99.8
06 02 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები	2,819.4	2,721.8	96.5
06 02 05	დაკრძალვის ხარჯი	1.5	1.5	100.0
06 02 07	სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარება	533.0	449.7	84.4
06 03	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება	1,168.0	701.3	60.0



ა) ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 289.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 289.5 ათასი ლარით, რაც გეგმის - 100.0%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ა(ა)იპ საზოგადოებრივი "ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"-ს მიერ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა ბენეფიციარებისათვის.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მიერ 2025 წელში განხორციელდა სხვადასხვა პროგრამები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას, მონიტორინგს დაავადებათა ეპიდზედამხედველობაზე, შემთხვევათა /ეპიდემიოლოგიის/ გამოვლენას, რეგისტრაციას, კვლევას, დადასტურებას. ანალიზს, მონაცემთა ანგარიშგებას, საპასუხო რეაგირებას და მზადყოფნასთან დაკავშირებულ მოქმედებებს, უკუკავშირს და კომუნიკაციას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების აღწერა:

ეპიდემიოლოგიური კვლევის განხორციელება ეპიდსაშიშროებისას, პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში, მონიტორინგების განხორციელების გეგმის დამტკიცება წინასწარ შემუშავებული აქტის საფუძველზე. გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მართვა, პრევენციული ღონისძიებების გატარება და კონტროლი. ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთა კონტაქტების კვლევის განხორციელება და შერჩეული კონტაქტების რეფერალი ტუბერკულოზზე სპეციალური დიაგნოსტიკური კვლევისათვის. მოძიებული მოკვლევის შედეგების სრულყოფილი რეგისტრაცია ელექტრონულ პროგრამებში (EIDSS).

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნიზაციის ყოველწლიური გეგმის შემუშავება, დამტკიცება. იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში, მონაცემთა ანალიზი, შეფასება და დაზუსტება. ამცრელი დაწესებულებების ყოველთვიური მონიტორინგის გრაფიკის შემუშავება და მონიტორინგის განხორციელება გეგმის შესაბამისად. ცივი ჯაჭვის უწყვეტობის სისტემის ზედამხედველობა და კონტროლი. იმუნიზაციის ყოველთვიური ანგარიშების მიღება დამუშავება და ცენტრში გადაგზავნის ორგანიზება. ასევე დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისათვის „ცენტრიდან“ ტესტებისა და სახარჯი მასალების მიღება- განაწილება შესაბამისი ელექტრონული მოდულების წარმოებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დეზინსექციის ღონისძიებათა ორგანიზება: წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით, გადამტანების არსებობის და გავრცელების არეალის დადგენა სეზონის განმავლობაში. მალარიის პროგრამის ფარგლებში მუშავდება ფართობები ინსექტიციდით, კერძოდ: სოლფაკით. შემდგომ ხდება დამუშავებული ფართობების აღრიცხვა და ანგარიშგება შესაბამისი ცხრილებით.

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა: სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულების აღრიცხვა და მათთვის არსებული რეგულაციების გაცნობა. მონიტორინგის განხორციელება გრაფიკის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში მათ შორის ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების გამახორციელებელ პირთა მიერ სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების განხორციელების ხელშეწყობა: დაავადებათა ადრეული გამოვლენის და სკრინინგის (კიბო, C ჰეპატიტის და შიდსის) პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა. გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის მდგომარეობის შენარჩუნება და რეაგირება.

ჩატარებული ზედამხედველობის, დეზინსექციის, იმუნოპროფილაქტიკისა და ეპიდკონტროლის ღონისძიებების რაოდენობა და მოცულობა: საანგარიშო პერიოდში აღრიცხულია: ყივანახველას 2 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა, C ჰეპატიტის 32, B ჰეპატიტის 10 შემთხვევა, მ.შ ქრონიკული B ჰეპატიტის 10 , მწვავე მიმდინარეობის 2. სავარაუდო საკვების მიერი მოშხამების 358 შემთხვევა, სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების 66 შემთხვევა, სალმონელოზის 3 შემთხვევა, ბრუცელოზის 8, ჩუტყვავილას 66, პარაპოქსვირუსების 2 შემთხვევა. ლაიმის დავადების 2 შემთხვევა, ქუნთრუმას 1, ლეპტოსპიროზის 9 შემთხვევა, ნოზოკომიური პნევმონია 5 შემთხვევა, 15-49 წლის ასაკი გარდაცვალებათა 2 შემთხვევა, 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილის 1 შემთხვევა, სიფილისი ორსულებში 1 შემთხვევა. აივ- შიდსზე ტესტირებული იქნა 64 ბენებიციარი. ცხოველთა მიერ დაკბენის, დაკაწვრის, დადორბვლის 1487 შემთხვევა: პატრონიანი ცხოველით 976, მოხეტიალე ცხოველით 510. ცხოველებში ლაბორატორიულად ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ყველა ზემოთ აღნიშნულ დაავადებების კერაში გატარებულია სათანადო ღონისძიებები, ყველა შემთხვევა რეგისტრირებულია დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ სისტემაში. (EIDSS)

წლის განმავლობაში საგანმანათლებლო და სააღმშრდელი დაწესებულებებში მონიტორინგისა და სუპერვიზიების რაოდენობამ შეადგინა 49 ვიზიტი. ხოლო საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში 30 ვიზიტს.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა C ჰეპატიტის სკრინინგი, ზოგად პოპულაციაში, დაწესებულებების მიერ გამოკვლეული იქნა 4439 ბენეფიციარი, მ/შ-ის 32 დადებითი. აივ ინფექცია/შიდსზე სკრინინგი ჩატარდა 95 ბენეფიციარს, მათ შორის დადებითი აღმოჩნდა 3. საშვილოსნოს ყელი კიბოს სკრინინგი 157 ქალბატონში მათ შორის დადებითი - 7. გინეკოლოგთან ორსულების ვიზიტი ოთხ ინფექციაზე (აივ-ინფექცია/შიდსი, B და C ჰეპატიტები, სიფილისი) შეადგინდა - 54 ქალბატონს. მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი ჩატარა 8 ბენეფიციარმა. სისხლის უანგარო დონაცია გაწია 474 ადამიანმა. მამოგრაფიული გამოკვლევა ჩატარდა 55 ქალბატონში.

ჰიპერტენზიის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა: მოსახლეობაში წნევის სკრინინგი, სულ გამოკვლეული იყო 270 ადამიანი (მათ შორის მაღალი წნევა დაიფიქსირდა 81 ადამიანში), ასევე მათ მიეწოდათ ინფორმაცია წნევის სწორად გაზომვის, მისი თავიდან აცილებისა და გართულებების შესახებ.

გრიპის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით ყოველი წლის ოქტომბერიდან მაისის ჩათვლით ხდება გრიპისმაგვარი დაავადებების შემთხვევების ყოველკვირეული შეტყობინებების მიღება მუნიციპალიტეტის ყველა სამედიცინო დაწესებულებებიდან ნაერთის გაკეთება და გადაგზავნა დ.კ.ს.ჯ.ეროვნულ ცენტრში. ამავე პერიოდში იწყება გრიპის ვაქცინაცია. გრიპის ვაქცინა მიწოდებული აქვს ყველა სამედიცინო დაწესებულებას. დღეის მდგომარეობით აცრილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1177 პირი.

ვაქცინაციის პროცესზე განხორციელებული ზედამხედველობისა და მართვის შედეგები:

ჯანდაცვის ცენტრში ცივი ჯაჭვის პრინციპით უზრუნველყოფილია ასაცრელი მასალის, კომბინირებული ტესტების, სახარჯი მასალების, ანტირაბიული ვაქცინის და სტრატეგიული შრატების (ბოტულიზმი, ტეტანუსი, გველის შხამის საწინააღმდეგო) მიღება-შენახვა-გაცემა. სამედიცინო დაწესებულებებზე არ ყოფილა წყვეტა მასალის მიწოდების მხრივ. ყველა სამედიცინო დაწესებულება აღჭურვილია მაცივრებით ვაქცინის შესანახად ყველა პირობა დაცულია.

ყოველი თვის ბოლოს ვადგენთ პირველადი ჯანდაცვის რგოლებიდან ანგარიშს ინფექციური დაავადების შესახებ ფორმა 58/3 -ით ვაკეთებთ ნაერთს და ვაგზავნით რეგიონალურ ჯანდაცვაში.

სჯც-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა პროფილაქტიკური აცრების მონიტორინგი. პროფ.აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. სახელმწიფო უზრუნველყოფს მართვადი ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

სახელმწიფო პროგრამა (საკუთარი შემოსავლები)

მაღარის პროგრამა

ენტომოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარებული იქნა რიგი ღონისძიებები. წლის დასაწყისში გაკეთდა მთელი რაიონის მასშტაბით არსებული წყალსატევების აღრიცხვა-პასპორტიზაცია. აღნიშნულ ტერიტორიაზე არის 90 წყალსატევი, მ/შ მუდმივი არის 72, ხოლო დროებითი 28. მაღარის პროგრამის ფარგლებში დამუშავდა 120000 მ² ფართობი, ძირითადად დახურულ სივრცეში ინსექტიციდით, კერძოდ: სოლფაკით.

დამუშავებული ფართობი	შრომა დღის ნორმა	შრომა დღეების ოდენობა	ერთი შრომა დღის ღირებულება	პროგრამის ღირებულება	შენიშვნა
120000 კვ.მ	250 მ ²	480 მ/დ	8 (ლარი)	3840 (ლარი)	სეზონური

ტუბერკულოზის პროგრამა

ტუბერკულოზის 9 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა.

პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი და კვლევები	პროგრამის მიმდინარეობის პერიოდულობა	პროგრამის ღირებულება	პროგრამის მიმდინარეობა წლის განმავლობაში	საერთო ღირებულება
ტუბერკულოზის მიდევნების პროგრამა	კვარტალური	მომიებული-გამოკვლეულ კონტაქტში მყოფი პირების რაოდენობის შესაბამისად	გამოკვლეულია 9 ბენეფიციარი	460

ბ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 389.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 373.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.9%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს არ გააჩნია საკუთარი შენობა, რის გამოც წლების განმავლობაში სხვადასხვა არასტანდარტულ შენობებში ფუნქციონირებს. რომლებიც არ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს, ახლის მშენებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს ექნება თანამედროვე სტანდარტების და აღჭურვილობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, სადაც ადგ. მოქალაქეები დროულად შეძლებენ საჭირო მაღალხარისხიან სერვისების მიღებას

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობა. ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ მშენებლობით შეიქმნა კეთილმოწყობილი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ჯანდაცვის კერა, კერძოდ განხორციელდა:

1. ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ შენობის სამშენებლო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.

2. ქ. სამტრედიის, რესპუბლიკის ქ. N1ა-ში მდებარე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობის ეზოსა და საპარკინგე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა სამუშაოების პირველი ეტაპი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2025 წელს დაგეგმილი იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობის დასრულება და თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა.

მიღწეული მაჩვენებელი - 2025 წელს დასრულდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობა და აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტებით.

გ) ააიპ „სახლი თანადგომა“ (პროგრამული კოდი 06 02 01) ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ „სახლი თანადგომა“

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 396.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 378.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.4%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარება ააიპ „სახლი თანადგომისათვის“ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დღეს, როდესაც ქვეყანაში მრავლადაა გაჭირვებული ოჯახები, მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სხვადასხვა ფორმით მატერიალური დახმარების გაწევა.

სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიზიკური შესაძლებლობა, არიან მარტოხელები, დავრდომილები, ინვალიდები, უსახლკარონი, ის პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას და არ გააჩნიათ ეკონომიკური შესაძლებლობა იმისთვის, რომ მთელი თვის განმავლობაში იკვებონ თავისი შემოსავლით, მათთვის ყოველდღიურად (გარდა კვირისა) სადილით უზრუნველყოფა (დღეში ერთხელ) უმწეოთა სასადილოში. ამ კატეგორიის მოქალაქეებზე გაიცემა 2-3 ცალი პური კვირაში ერთხელ. პური გაიცემა სულადობის მიხედვით.

ამ პროგრამის მოქმედებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხვრებ უმწეოთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება საარსებო საშუალებით. აგრეთვე, პროგრამაში ჩართულნი არიან სოციალური მუშაკები, რომლებიც ბინაზე მოემსახურებათ დავრდომილებსა და ღრმად მოხუცებულებს.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მარტოხელა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა; სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება.

მიღწეული შუალედური შედეგები: ა.ა.ი.პ სახლი თანადგომაში, რომელიც ფუნქციონირებს სხვადასხვა სოციალური პროგრამებით, შემდეგ სოციალური პროგრამებზე კერძოდ საშობაო, სააღდგომო, მრავალშვილიან დედებზე, მკვეთრად გონებაშეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე განხორციელდა ამანათის გაცემა. განხორციელდა უფასო სასადილოს ფუნქციონირებისა და უფასო პურის გაცემის პროგრამა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - ა.ა.ი.პ სახლი თანადგომას დარეგისტრირებულ 2024 წლის უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობა. საშობაო ამანათი 130 ბენეფიციარზე, სააღდგომო ამანათი 130 ბენეფიციარზე, მკვეთრად გონება შეზღუდული ბავშვების (18 წლამდე ასაკის ბავშვებზე), ამანათი 79 ოჯახზე, მრავალშვილიანი ოჯახების ამანათი (5 და მეტ შვილზე) 19 ოჯახი, უფასო პურით სარგებლობის პროგრამით 193 ბენეფიციარზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი: უფასო სასადილოში მოსადილეთა რაოდენობა 130 კაცი. უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილი ბენეფიციარები. საშობაო, სააღდგომო. მკვეთრად გონებაშეზღუდული (18 წლამდე ასაკის) ბავშვების ოჯახებზე, მრავალშვილიან {5 და მეტი ბავშვი) ოჯახებზე ამანათის გაცემა

კმაყოფილი ბენეფიციარები. უფასო პურით სარგებლობის პროგრამით (ოჯახზე 2-3 პური კვირაში) ბენეფიციარებზე პურის მიწოდება.

მიღწეული მაჩვენებელი:

უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობა. საშობაო ამანათი გაიცა 130 ბენეფიციარზე, სააღდგომო ამანათი - 130 ბენეფიციარზე, მკვეთრად გონება შეზღუდული ბავშვების (18 წლამდე ასაკის ბავშვებზე) ამანათი - 79 ოჯახზე, მრავალშვილიანი ოჯახების ამანათი (5 და მეტ შვილზე) - 19 ოჯახზე, უფასო პურით პროგრამით ისარგებლა 360 ბენეფიციარმა.

დ) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 270.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 270.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში ოთხჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტართა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში. სათნოების სახლში ხშირად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები. წოველ წელს მატულობს მნახველთა რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მოზინადრეთა ცხოვრებით და მათი ჯანმრთელობით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“ უზრუნველყოფს სოციალური პროგრამების განხორციელებას. საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა მარტოხელა და მიუსაფარ მოხუცებულთა მზრუნველობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. კერძოდ, ბენეფიციარებს ადგილზე გაეწიათ სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება. საყოფაცხოვრებო-სოციალური პროგრამებით უზრუნველყოფა. დღე-ღამის მანძილზე ოთხჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება. მედ-პერსონალთა და მომვლელთა სადღეღამისო მორიგეობა. მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

სათნოების სახლში ხშირად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები. ყოველ წელს მატულობს მნახველთა რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბენეფიციარების ყოველდღიური ცხოვრებით და მათი ჯანმრთელობით. ხდება შემოწირულობა სხვადასხვა სახის მატერიალური მარაგებით, რაც სათნოების სახლში მცხოვრებ მოზინადრეებს ხმარდება.

ე) დედათა და ბავშვთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 415.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 415.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.8%-ია;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: ახალშობილთა დახმარება

- ერთჯერად 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი შვილი.
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-2 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 300 (სამასი) ლარის ოდენობით.
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 შვილი და მეტი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 500 (ოთხასორმოდდაათი) ლარის ოდენობით.
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილის შემქნის შემთხვევაში 300-300 ლარს, მეორე და მესამე 400-400 ლარი, მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში 500-500 ლარს.

6. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახლადშექმნილი ოჯახების ხელშეწყობისა და მხარდაჭერის ფარგლებში, ახალდაქორწინებული წყვილი, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც ქორწინების რეგისტრაციისათვის ირიცხებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 120000-ს და შეეძინათ პირველი შვილი მიიღებენ ერთჯერადად 500 (ხუთას) ლარს.

7. ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2024 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული.

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 ან მეტი შვილი 18 წლამდე)

ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილისათვის).

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ახალშობილთა დახმარებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 ან მეტი შვილი 18 წლამდე) ფულადი დახმარების სერვისის მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

132 მრავალშვილიან ოჯახს (ოთხი და მეტი შვილი 18 წლამდე) თითო შვილზე დაერიცხა ყოველთვიურად 50-50 ლარი, 211 ახალშობილზე მშობელს დაერიცხა ერთჯერადად პირველ შვილზე 200 ლარი, მეორე შვილზე 300 ლარი, მესამე შვილზე 400 ლარი, მეოთხე და ზევით 500 ლარი;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს აღნიშნული სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა მომართვიანობის მიხედვით 373 შეადგინა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2025 წლის განმავლობაში სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა მოსალოდნელი რაოდენობა 450 შეადგენს.

მიღწეული მაჩვენებელი: საანგარიშო წელს აღნიშნული სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა მომართვიანობის მიხედვით 343 შეადგინა.

ვ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი: 2025 წლის გეგმა - 2,819.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,721.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.5%-ია;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიზანი: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება, მარტოხელა მშობლების დახმარება, სტუდენტების დახმარება, უდემდამობავშვების დახმარება, ხანდაზმულთა დახმარება, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება; დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება; ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დიაბეტით დაავადებულ და დაუნის სინდრომის ბავშვთა ფინანსური დახმარება, 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება; ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, წითელი ჯვრის თანადაფინანსება, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა, სოციალურად დაუცველი და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა, სამკურნალო საწარმო „გვირილა“-ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა, უდემდამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის საადგილოდ და საახალწლოდ ერთჯერადი დახმარება, მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სოციალური სერვისების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

მარტოხელა მშობელთა დახმარება - 61 მარტოხელა მშობელს გაეწია დახმარება; მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - კვლევა, მკურნალობა, ოპერაცია დაუფინანსდა - 3607 ბენეფიციარს; შშმ პირების დახმარება - ერთჯერადი დახმარება გაეწია - 556 შშმ პირს; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება - დახმარება გაეწია - 137 ვეტერანს; 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება - ერთჯერადი დახმარება გაეწია აგვისტოს ომში გარდაცვლილი 4 მეომარის ოჯახს; ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება - 46 ჩერნობილის მონაწილეს და გარდაცვლილი ოჯახის წევრებს; სტუდენტების დახმარება - ერთჯერადი დახმარება გაეწია 46 სტუდენტს; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - ყოველთვიური 300-300 ლარიანი დახმარება გაეწია - 91 ბენეფიციარს; მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება - დახმარება გაეწია - 207 ბენეფიციარი; ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - ერთჯერადად დახმარება გაეწია - 732 ბენეფიციარს; სოციალური დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირის გადასახადი - ბინის ქირით დაკმაყოფილდა - 13 ოჯახი; დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციარების დახმარება - ყოველთვიური 200 ლარიანი დახმარება გაეწია 61 ბენეფიციარს; დედამამით ობოლ ბავშვთა ფინანსური დახმარება - ყოველთვიური 100- 100 ლარიანი დახმარება გაეწია 19 დედამამით ობოლ ბავშვს; ლეიკემიით ცერებრალური დამბლით, დიაბეტით დაავადებულ და დაუნის სინდრომის ბავშვთა ფინანსური დახმარება - 64 ბენეფიციარს გაეწია ყოველთვიური დახმარება; ამანათების შექმნა უღედმამო ბავშვებისთვის, , სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და შეჭირვებული ოჯახებისთვის- 300 ბენეფიციარს სააღდგომოდ და 300 ბენეფიციარს საახალწლოდ გაეწია 100-100 ლარიანი დახმარება ამანათის ნაცვლად; 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა - დღის ცენტრს ლამპარს დაუფინანსდა კომუნალურის და ტრანსპორტირების ხარჯები;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს შეთავაზებული სერვისების შეუფერხებლად განხორციელებითა და თანაბარი ხელმისაწვდომობის შედეგად საერთო ჯამში ისარგებლა 4966 ბენეფიციარმა.

